პროფესიულიგანათლება

N3(6)·22

გურამ გოგოლაძე

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი კოლეჯ „აისის“ ლაგოდეხის ფილიალში

გურამი მუშაობდა ძალოვან სტრუქტურებში, თუმცა ავარიის შედეგად ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა. მისთვის ძალიან რთული და მტკივნეული აღმოჩნდა საკუთარ მდგომარეობასთან შეგუება. გაუჭირდა უმუშევრად ყოფნა და გადაწყვიტა, ისეთ პროფესიას დაუფლებოდა, მისი მდგომარეობა ხელისშემშლელი რომ არ ყოფილიყო. ასე აღმოჩნდა კოლეჯ „აისის“ ლაგოდეხის ფილიალში ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. 2021 წლის გაზაფხულზე, USDA-ის პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციის „მაკ ჯორჯია და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ ორგანიზებით, გაიარა ტრენინგები და მეგობრებთან ერთად დააფუძნა „ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“, რომელიც სსსმ და შშმ პირების დახმარებაზე არის ორიენტირებული. გურამი ჯერ კიდევ სტუდენტია და ფიქრობს, რომ თავისივე ორგანიზაციაში ძალიან გამოადგება კოლეჯში მიღებული ცოდნა ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით.

შინაარსი

2 **ნინო ელბაქიძე**
21 საუკუნის უნარები

პროფესიული განათლება და სახელმწიფო პოლიტიკა
3 **ნინო ელბაქიძე**
პროფესიული განათლება უნდა პასუხობდეს შრომის ბაზრის დაკვეთას
ინტერვიუ განათლების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ამილახვართან

პროფესიული კოლეჯი
6 **შორენა ტყეშელაშვილი**
კოლეჯ „იკაროსის“ წარმატებები და სამომავლო გეგმები
ინტერვიუ რუსუდან ჩართოლანთან

საერთაშორისო პროექტები
9 **ნინო ელბაქიძე**
USAID-ის პროექტი პროფესიული განათლებისთვის
ინტერვიუ USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ დირექტორის მოადგილე საბა სარიშვილთან

წარმატებული მასწავლებლის ისტორია
11 **შორენა ტყეშელაშვილი**
პროფესიული სტუდენტობიდან პროფესიულ პედაგოგობამდე
წარმატებული მასწავლებლის ისტორია

წარმატებული სტუდენტის ისტორია
14 **შორენა ტყეშელაშვილი**
მომავალი კონდიტერი აკაკი ცანკაშვილი და ოცნება საკონდიტროზე

დუალური განათლება
16 **შორენა ჯაფარიძე**
დუალური განათლების ხიბლი და გამოწვევები საქართველოში

პროფესიული განათლება
19 **თეა სიფრაშვილი**
კარიერის განვითარების მხარდაჭერის სისტემები საქართველოში რეფორმებიდან შედეგებამდე

კვლევა
22 **დავით რაქვიაშვილი**
აგროდუოს გამოცდილების კვლევა, როგორც საბაზო გამოცდილება ახალი დუოების შექმნისათვის

კერძო სექტორი და პროფესიული განათლება
24 **ია გიგიბერია**
ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი „ლეპოტა“, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის შესაძლებლობით

გაიცანი პროფესია
27 **ნასტასია არაბული**
მათემატიკოსი მეფუტკრე ბაბუისგან მემკვიდრეობით მიღებული ფუტკრებით და სამი ათასზე მეტი სტუდენტით

დამსაქმებელი ეძებს გუნდის წევრს
31 **თეონა კუპატაძე**
წარმატებული ვერ გახდები, თუ მუდმივად არ ცდილობ განვითარებას

პროფესიულიგანათლება
N3(6)·22

ჟურნალი „პროფესიული განათლება“ გამოიცემა ფერმერთა ასოციაციისა და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს UNDP-სა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

მთავარი რედაქტორი
ნატალია ინგოროყვა

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სტილის რედაქტორი
ირმა ტაველიძე

ფოტოგრაფია
ირმა გაჩეჩილაძე

ლოგოს დიზაინი
მარიამ ელიზბარაშვილი

სარედაქციო კოლეგია

ნინო ელბაქიძე – სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

ნიკოლოზ მესხიშვილი – ფერმერთა ასოციაცია საგანმანათლებლო პროგრამების ოფიცერი

თამარ ქიტიაშვილი – უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი

გიორგი ნანობაშვილი – გაეროს განვითარების ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი

თეა გულუა – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინოვაციების და ცოდნის მართვის სპეციალისტი

გიორგი პერტაია – სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

გამოქვეყნებული მასალები არის ჟურნალ „პროფესიული განათლების“ ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

21-ე საუკუნის უნარები

ნინო ელბაქიძე

განათლება რომ მთავარი იარაღია ცხოვრებასთან გამკლავებისათვის, ეს არ არის ახალი. ცოდნა რომ სინათლეა, ესეც ძველი ჭეშმარიტებაა. ადამიანს ესაჭიროება, იცოდეს რაც შეიძლება მეტი, განივითაროს უნარები, რათა იყოს წარმატებული, დასაქმებული და ჰქონდეს შემოსავალი.

განათლება დროთა განმავლობაში იცვლიდა და იცვლის პარადიგმებს. როგორი წარმოდგენა და სურვილებიც ადრე განათლებულ ადამიანზე ჰქონდა საზოგადოებას, შესაძლებელია, დღეისათვის ის სავსებით არარელევანტური იყოს. განათლების მიზანი ინფორმაციის დამახსოვრებაზე იყო ორიენტირებული. მოგვიანებით მას დაემატა უნარების კომპონენტი, ანუ განათლებული ადამიანისაგან ითხოვდნენ არა მხოლოდ ცოდნას, არამედ შესაბამის უნარებსაც. ცოდნასა და უნარებთან ერთად ადამიანს აუცილებელია, ჰქონდეს ჯანსაღი და ადეკვატური დამოკიდებულებები. კომპეტენტური ადამიანი არის ის, ვისაც აქვს საგნის/დარგის რელევანტური ცოდნა, შესაბამისი უნარების ფლობა შეუძლია და გამოირჩევა ჯანსაღი დამოკიდებულებებით.

თუმცა, 21-ე საუკუნეში, ჩამოთვლილი კომპეტენციები არასაკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ადამიანი იყოს წარმატებული. ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები – აუცილებელი კომპონენტებია, მაგრამ არასაკმარისი. თანამედროვე ადამიანს უნდა შეეძლოს გაცილებით მეტი და რა არის ეს „მეტი“ – თავმოყრილია „21-ე საუკუნის უნარებში“.

კრიტიკული აზროვნება – თანამედროვე ადამიანი არასოდეს იღებს ინფორმაციას კრიტიკული ანალიზის გარეშე. ის ყოველთვის გონებაში ატარებს და აანალიზებს მოცემული ინფორმაციის დადებით და უარყოფით მხარეებს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას.

შემოქმედებითობა – თანამედროვე ადამიანი არასოდეს არის მხოლოდ მომხმარებელი. ის ასევე ქმნის. ქმნის ახალ პროდუქტს, ახალ აზროვნებას, ახალ ღირებულებებს და რეალიზებას უკეთებს საკუთარ შესაძლებლობებს.

თანამშრომლობა – თანამედროვე ადამიანმა იცის, რომ მას ესაჭიროება თანამშრომლობა სხვა ადამიანებთან, რათა მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

კომუნიკაცია – 21-ე საუკუნის ადამიანისათვის სავსებით ცხადია, რომ მას ესაჭიროება კომუნიკაციის დახვეწილი უნარები, რათა შეძლოს ითანამშრომლოს, მიიღოს საჭირო ინფორმაცია და გამოიყენოს ეს თავისა და სხვების სასიკეთოდ.

ინფორმაციული წიგნიერება – თანამედროვე ადამიანს უწევს ზღვა ინფორმაციასთან გამკლავება. ინფორმაციის დახარისხება, გამოყენება, არასასურველის უგულებელყოფა და ა.შ. თანამედროვე ყოფისათვის აუცილებელი უნარია.

მედიაწიგნიერება – არცერთი საუკუნე არ ყოფილა ისეთი დატვირთული მედიის ზეგავლენით, როგორც თანამედროვე. მედიაწიგნიერების უნარი ეხმარება თანამედროვე ადამიანს, შეინარჩუნოს ღირებულებები, არ მოექცეს არასასურველი გავლენის ქვეშ.

ტექნოლოგიური წიგნიერება – ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ყოფა. ტექნოლოგიები ყოველდღიურად იცვლება და ვითარდება. თანამედროვე ადამიანმა იცის, რომ ამ ცვლილებებს თვალი უნდა ადევნოს, რათა არ ჩამორჩეს.

მოქნილობა – მისი საპირისპირო ცნება არის სიხისტე. ცვალებად სამყაროში მოქნილობის გარეშე თანამედროვე ადამიანი ვერ შეძლებს ცვლილებებთან გამკლავებას, რაც იმედგაცრუებას იწვევს.

ლიდერობა – ყოველთვის არ ნიშნავს გუნდის წინამძღოლობას. თანამედროვე ლიდერებს შეუძლიათ საკუთარი დროის მენეჯმენტი, სხვების გათვალისწინება, საქმიანობის დაგეგმვა და მართვა.

ინიციატივის აღება – 21-ე საუკუნის ადამიანი არ იღებს მხოლოდ არსებულს, არამედ მოვლენების ანალიზის საფუძველზე ხდება ინიციატივის ავტორი. ის ცვლის გარემოს უკეთესობისკენ.

პროდუქტიულობა – შედეგებზე ორიენტირებულობასაც ნიშნავს, რათა ადამიანმა შეძლოს, შეზღუდულ დროში რაც შეიძლება მეტ წარმატებულ შედეგს მიაღწიოს.

სოციალური უნარები – ადამიანი სოციალური არსებაა და მას ადამიანები ესაჭიროება თანაცხოვრებისთვის, ბედნიერებისთვის, კეთილდღეობისთვის. 21-ე საუკუნის ადამიანმა იცის, როგორ უნდა მოექცეს სხვას, რათა ჰარმონიული თანაცხოვრება შესაძლებელი გახადოს.

პროფესიის არჩევა, შესწავლა და მერე მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა – თანამედროვე ადამიანისთვის ეს არის ცხოვრების წესი.

პროფესიული განათლება უნდა პასუხობდეს შრომის ბაზრის დაკვეთას

ნინო ელბაქიძე

ბატონო გიორგი, რა არის სახელმწიფოს მიერ დასახული პოლიტიკა და უმნიშვნელოვანესი პრიორტეტი პროფესიული განათლების მიმართულებით?

დავიწყებ იმით, რომ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტისათვის პროფესიული განათლება ამ ეტაპზე განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ეს არის რეალური და მოკლე გზა დასაქმებისკენ და დასაქმება კი, მოგეხსენებათ, რომ არის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა ქვეყნისთვის. პროფესიული განათლება არის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ღერძი და ამიტომაც პროფესიული განათლება იქცა ქვეყნის განათლების სისტემის ყველაზე ყურადსაღებ მიმართულებად.

როგორც იცით, ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა პროფესიული უნარების სააგენტო, რომელიც არის მნიშვნელოვანი ახალი ორგანიზაცია, სადაც თავი უნდა მოიყაროს პროფესიული განათლების მიმართულებით არსებულმა გამოწვევებმა და დაისახოს მათი გადაჭრის რეალური გზები.

მთვარი გამოწვევა ამ ეტაპზე არის, ის, რომ შრომის ბაზარზე არსებობს ღია ვაკანსიები და, სამწუხაროდ, ვერ ხდება ამ ვაკანსიების შევსება განათლების სექტორის მხრიდან და მათ შორის მთავარი აქცენტი მოდის პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებზე. ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ ყველა რეგიონისა და მუნიციპალიტეტის დონეზე განსაზღვრული იქნას ადგილობრივი შრომის ბაზრისა და დასაქმების საჭიროებები – თუ რა კომპეტენციის ადამიანები ესაჭიროება ადგილობრივ შრომის ბაზარს და მხოლოდ ამის მიხედვით იქნას შეთავაზებული გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები პროფესიული განათლების მიღების მსურველებისათვის. სწრაფად უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონული პრირორიტეტები და ამის მიხედვით მოვარგოთ პროფესიული განათლების შესაბამისი დაფინანსების მოდელები კოლეჯებს.

სამწუხაროდ, დღეს გვაქვს პროგრამები კოლეჯებში, რომლებიც არ ან ვერ პასუხობენ დამსაქმებლისა და კერძო სექტორის დაკვეთას. ფაქტობრივად, ამ პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში იხარჯება რესურსები, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური და დროითი. მოკლედ რომ ვთქვათ, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მიერ გაღებული რესურსი იხარჯება არამიზნობრივად. სწრაფად უნდა ვუპასუხოთ ამ გამოწვევას. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს – არც დრო და არც რესურსები.

განათლების კომიტეტი სრულად უჭერს მხარს დასახელებული გამოწვევის მოგვარებისათვის საჭირო ძალისხმევის გატარებას, იქნება ეს საკანონმდებლო ბაზა თუ სხვა მხარდაჭერა. ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს გამოვიყენებთ მიზნის მისაღწევად, რომ ერთი მხრივ, კოლეჯმა შესთავაზოს შრომის ბაზრის შესაბამისი პროგრამა მსურველს, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულმა იპოვოს მისთვის შესაფერისი სამუშაო და დასაქმდეს.

მოგეხსენებათ, რომ პროფესიული განათლება არ არის მხოლოდ განათლების სექტორი. ის არის განათლება და კერძო სექტორი ერთად. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, როგორ ხდება/მოხდება სტრატეგიის განსაზღვრა?

როდესაც პროფესიულ განათლებაზე ვსაუბრობთ, განათლების ამ საფეხურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი არის ის, რომ კურსდამთავრებული დასაქმ-

გიორგი ამილახვარი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

დეს წარმატებით ან თვითდასაქმებას მიჰყოს ხელი. იმისათვის, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებს უპასუხოს პროფესიულმა განათლებამ, აუცილებელია, თავად კერძო სექტორი, კონკრეტულად კი დამსაქმებელი იყოს ჩართული როგორც პროფესიის სტანდარტების შემუშავებაში, ასევე სასწავლო შინაარსის განსაზღვრაშიც. სხვაგავარად გამოვა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი რესურსები არ იხარჯება მიზნობრივად. ამიტომ ერთ-ერთი აქტუალური გამოწვევა გვაქვს ის, როგორ დავაკავშიროთ ერთმანეთთან პროფესიული კოლეჯები, სასწავლო პროგრამები და შრომის ბაზარი, იგივე დამსაქმებელი. უნარების სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქცია არის, რომ დაამყაროს თანამშრომლობა სხვადასხვა ბიზნეს-ასოციაციებთან, რათა მოხდეს კერძო სექტორისათვის რელევანტური პროფესიების იდენტიფიცირება, შესაბამისი სასაწავლო პროგრამების ჩამოყალიბება მათთან თანამშრომლობით, რამაც უნდა უზრუნველყოს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

მოდით, ვაღიაროთ, რომ გამოწვევები გვაქვს ორივე მხარეს: პროფესიული განათლების მხარესაც და კერძო სექტორის მხარესაც. კვლევები გვაჩვენებს, რომ დამსაქმებლების ინტერესი პროფესიული განათლებისადმი ძალიან მაღალი არ არის – საუბარია მცირე და საშუალო ბიზნესზე. დიდ ბიზნესებს, როგორც წესი, თავად აქვთ ხოლმე სასწავლო ცენტრები გახსნილი თავის წიაღში. თუმცა პროფესიული განათლებისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის მიზანია, რომ ხელი შეუწყოს ყველა სიდიდის ბიზნესის განვითარებას და კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ბიზნეს-ასოციაციებთან თანამშრომლობით მოვახდინოთ პროფესიების იდენტიფიცრება და პროგრამების მორგება, რათა არ მოხდეს ისევ პროფესიული პროგრამებისა და შრომის ბაზრის დაკვეთის აცდენა.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ კერძო სექტორი უნდა გახდეს თანამონაწილე გადაწყვეტილებების მიღებაში?

არა მხოლოდ თანამონაწილეა კერძო სექტორი პროფესიული განათლების პოლიტიკის განსაზღვრაში, მეტსაც გეტყვით, კერძო

სექტორი არის მთავარი დამკვეთი, რომლის დაკვეთასაც ასრულებს პროფესიული განათლება. სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ უზრუნველყოს ამ დაკვეთამიწოდების პროცესებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. კერძო სექტორი პროფესიული განათლების მთავარი აქტორი და პარტნიორია.

ბატონო გიორგი, სახელმწიფო პოლიტიკა საუბრობს „სტუდენტზე ორიენტირებულ პროფესიულ განათლებაზე“. თუ შეიძლება, რომ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს ეს?

პირველ რიგში, ეს ნიშნავს სტუდენტობის მსურველისათვის მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამის შეთავაზებას. პროგრამა უნდა იყოს წინაპირობა იმისათვის, რომ სტუდენტი ღირსეულად დასაქმდეს; მეორე რიგში, პროფესიული განათლება აძლევდეს შესაძლებლობას კურსდამთავრებულს უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის. ახალმა კანონმა პროფესიული განათლების შესახებ შესაძლებელი გახადა პროფესიული სასწავლებლის შემდეგ უმაღლესი განათლების მიღება, თუკი ამის სურვილი სტუდენტს ექნება. ასევე ვგეგმავთ, რომ პროფესიული პროგრამები ჩაშენებული იქნას უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში და სკოლის პერიოდში მოსწავლეს ჰქონდეს საშუალება, მოსინჯოს სხვადასხვა პროფესია. ბავშვი და სტუდენტი არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი, რადგან მას უნდა მიეცეს უნარების რეალიზების საშუალება, რაც განაპირობებს ძლიერ მოქალაქეს და ძლიერ ეკონომიკას.

პროფესიული განათლების პრესტიჟი, სამწუხაროდ, დღემდე არ არის ქვეყანაში მაღალი. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს და ერთ-ერთი არის ის წარსული, საიდანაც პროფესიული განათლება მოდის. როგორ ფიქრობთ, რით შეგვიძლია დავეხმაროთ ამ პრესტიჟის ამაღლებას ქვეყანაში?

სამწუხაროდ, ამას აქვს თავისი ისტორიული წინაპირობები, როდესაც პროფესიული განათლება ითვლებოდა განათლების არასასურველ ფორმად და წარმატების მისაღწევად მხოლოდ უმაღლესი განათლება იყო სასურველი. ეს სტერეოტიპი დღეს აღარ არის აქტუალური. პროფესიულ პროგრამებზე მოდიან ადამიანები, რომელთაც უმაღლესი განათლება უკვე მიიღეს და ვერ დასაქმდნენ, ან უბრალოდ უმაღლეს სასწავლებელში მიღებული სპეციალობა მათთვის საინტერესო და მომხიბვლელი არ არის. ისინი სწავლობენ ახალ პროფესიებს სასწავლებლებში, რომლებსაც მათთვის მოაქვს დასაქმება და შემოსავალი. რა საჭიროა დიპლომი, თუკი მას არ მოაქვს დასაქმება? ახალგაზრდებს, რომელთაც უმაღლესის შემდეგ მიმართეს პროფესიულ სასწავლებლებს, შესაძლებელი იყო, არ დაეკარგათ დრო და მოსულიყვნენ პირდაპირ იმ პროფესიის შესასწავლად, რომელიც აინტერესებდათ. საყვარელ პროფესიაში დასაქმებული ადამიანი გაცილებით ბედნიერი და რეალიზებულია, ვიდრე ადამიანი, რომელსაც თუნდაც სამი დიპლომი აქვს აღებული სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ვერ მუშაობს.

ჩვენ ყოველთვის ვახალისებთ და წავახალისებთ ახალგაზრდების დაინტერესებას პროფესიული განათლებით. საქართველოს პარლამენტმა დააწესა სპეციალური ჯილდო იმ კოლეჯისათვის, რომელსაც ყველაზე კარგად ექნება დანერგილი ინკლუზიური განათლება. ეს არის საკმაოდ მაღალი რანგის ჯილდო, რომელსაც კოლეჯს გადავცემთ. პროფესიული განათლება და ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ბატონო გიორგი, პარლამენტის განათლების კომიტეტის ხელმძღვანელის გზავნილი იმ ახალგაზრდებისადმი, რომელთაც აქვთ სურვილი, მიიღონ პროფესიული განათლება.

ჩემი გზავნილი ბავშვებს და მათ მშობლებს – განსაკუთრებით მათ, ვინც ჯერ არ იცის ბოლომდე პროფესიული განათლების სიკეთეების შესახებ. ყველანი რაზეც ვთანხმდებით, არის ის, რომ ადამიანი იყოს ბედნიერი და რეალიზებული. რომელიმე პროფესიის დიპლომს არ მოაქვს ბედნიერება. ადამიანი უნდა აკეთებდეს იმას, რაც მას უყვარს. ამ საყვარელ საქმეს უნდა მოსდევდეს ღირსეული ხელფასი, რომლითაც ის შეძლებს, რომ იცხოვროს. ამიტომ როდესაც ჩვენს შვილებს ვეხმარებით პროფესიის არჩევაში, ან ბავშვებს სურთ, რომ ისწავლონ რომელიმე პროფესია, გადახედეთ პროფესიული განათლების შესაძლებლობებს, აირჩიეთ სწორი გზა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ გავიხედოთ უმაღლესი განათლებისკენ, მაგრამ თუკი უფრო მოკლე დროში შესაძლებლია თქვენთვის საინტერესო პროფესიის შესწავლა და დასაქმება, რატომ უნდა ვთქვათ ამაზე უარი.

მე დიდი გულშემატკივარი და უფლებადამცველი გავხდი პროფესიული განათლებისა. აქვე შემიძლია გითხრათ, რომ მე ჩემს შვილებს აუცილებლად გავუწევ რეკომენდაციას, რომ პირველ ეტაპზე შეისწავლონ პროფესია, ხელობა, რომელიც მათ დააინტერესებს. ადამიანი, რომელმაც იცის შრომის ფასი, უფრო შემდგარია, უფრო რეალიზებული და ბედნიერია. ჩვენი მიზანი კი ადამიანის კეთილდღეობაა.

კოლეჯ „იკაროსის“ წარმატებები და სამომავლო გეგმები

შორენა ტყეშელაშვილი

ინტერვიუ რუსუდან ჩართოლანთან

კოლეჯი „იკაროსი“ 2007 წელს იწყებს ფუნქციონირებას ტურიზმისა და მომსახურების სფეროში. კოლეჯში ამ ეტაპზე ხუთი პროგრამა ისწავლება: კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, სარესტორნო მომსახურება, სასტუმრო მომსახურება და ღონისძიების ორგანიზება. სასწავლებლის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან გერმანიაში, ამერიკაში, შვედეთში და სხვა ქვეყნებში, მაღალანაზღაურებად სამსახურებში. „იკაროსი“ 400-მდე კომპანიასთან თანამშრომლობს, სადაც სტუდენტები გადიან სტაჟირებას და შემდეგ საქმდებიან. კოლეჯში სასწავლო პროცესი სამ ცვლაში მიმდინარეობს, კვირაში 7 დღე, რათა ყველასთვის მოქნილი პირობები შეიქმნას და სტუდენტმა სასურველი ცოდნა და უნარები შეიძინოს. კოლეჯის დირექტორი რუსუდან ჩართოლანი ჟურნალ „პროფესიული განათლების“ მკითხველს კოლეჯის წარმატებების და სამომავლო გეგმების შესახებ უყვება.

ქალბატონო რუსუდან, მოგვიყევით, როდის იწყება კოლეჯ „იკაროსის“ ისტორია და რა პროგრამებს სთავაზობს ის მომავალ სტუდენტებს?

კოლეჯ „იკაროსის“ ისტორია 2007 წლიდან იწყება. კოლეჯი დაარსებიდან ტურიზმის და მომსახურების სფეროში ოპერირებს. დღემდე საკმაოდ პოპულარული და ერთ-ერთი პრესტიჟული კოლეჯია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო უახლესი ტექნიკით. ის ახორციელებს ხუთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ტურიზმის და მომსახურების მიმართულებით, კერძოდ: სასტუმრო მომსახურება, სარესტორნო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, ღონისძიების ორგანიზება. კულინარიის ხელოვნება ხორციელდება ორი მიდგომით: მოდულური და დუალური, ხოლო სამი პროგრამა – სასტუმრო მომსახურება, სარესტორნო მომსახურება და ღონისძიების ორგანიზება ხორციელდება ასევე ინტეგრირებული მიდგომით. აღნიშნული ავტორიზებული პროგრამების საფუძველზე, კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 11 პროგრამა და ახორციელებს მათ პარტნიორ დამსაქმებლებთან თანამშრომლობით.

სასწავლებლის პროგრამები სრულად არის მორგებული შრომითი ბაზრის მოთხოვნებს. „იკაროსი“ დაარსებიდან აქტიურად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ორგანიზაციებთან (GIZ, IOM, Syntea, PUM, „Georgia for friends“, „Ingrao Tradizione e Innovazione“; Baltic College – FHM Schwerin; Syntea, PUM, Zadkine Hospitality College, Fachhochschule des Mittelstands; (ACF); კიევის ტურიზმისა და სასტუმრო საქმის ტექნიკუმი, ისრაელის საელჩო და სხვა). აქვე უნდა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ ერთიან პროფესიულ გამოცდებზე ხშირ შემთხვევაში სწავლის მსურველთა რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება გამოცხადებულ ადგილთა რაოდენობას. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი კოლეჯი საკმაოდ მოთხოვნადია. ამავე დროს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელიც ძალიან მაღალია და შეადგენს 87%-ს.

რა არის კოლეჯის მთავარი მისია და ორიენტირი?

კოლეჯი ორიენტირებულია საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე. ჩვენი მიზანია, მოვამზადოთ კვალიფიციური კადრი, რომელიც ასე სჭირდება ტურიზმის

რუსუდან ჩართოლანი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

სფეროს, ამ სფეროს განვითარება კი ქვეყნის კეთილდღეობისა და მისი ეკონომიური განვითარების ერთ-ერთი გარანტია.

ჩვენი კურსდამთავრებულები წარმატებულად დასაქმებულები არიან არა მარტო საქართველოში, ბრენდულ სასტუმროებსა და რესტორნებში, არამედ გერმანიაში, ამერიკაში, შვედეთში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კოლეჯი ახორციელებს ძალიან ბევრ გაცვლით პროგრამას, მონაწილეობს ბევრ საერთაშორისო კონკურსში. 2017 წელს ის წლის საუკეთესო კოლეჯი გახდა. წლის საუკეთესო პროფესიული პედაგოგის წოდება კი „იკაროსის“ შეფმზარეულმა, მანუელ ფაუნდეს ბარანდამ მოიპოვა. 2017 წლიდან კოლეჯი მონაწილეობს სლოვაკეთსა და პოლონეთში გამართულ კონკურსებში, სადაც ნომინაციებში: მზარეული, სარესტორნო საქმე, ბარმენი, კონდიტერი – კოლეჯის სტუდენტებმა სხვადასხვა საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

როგორია კოლეჯის ინკლუზიური განათლების პოლიტიკა? რა პირობები არის შექმნილი სსსმ სტუდენტისთვის?

კოლეჯი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის. გვყავს როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტი. ყოველწლიურად სსსმ/შშმპ სტუდენტებისთვის თითოეულ პროგრამაზე 15%-ი კვოტაა განსაზღვრული. ამ ეტაპზე კოლეჯში სწავლობს 60-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი.

გვესაუბრეთ სასწავლო პროგრამებზე უფრო დეტალურად.

კოლეჯში ხუთი სადიპლომო პროგრამა ხორციელდება და ამ სადიპლომო პროგრამების ბაზაზე ძალიან ბევრი მომზადება-გადამზადების პროგრამა შევქმენით, რომელიც საინტერესო გახდა დამსაქმებლისთვის. ხშირად მთლიანი კვალიფიკაციის მქონე ადამიანი არ სჭირდებათ კომპანიებს, ზოგჯერ სჭირდებათ ისეთი ადამიანი, რომელიც მხოლოდ გარკვეულ უნარებს ფლობს. კულინარიის ხელოვნება საკმაოდ დიდი, ორწლიანი პროგრამაა, ამიტომ შევქმენით რამდენიმე პროგრამა სადიპლომო პროგრამის ბაზაზე და ჩავშალეთ პროგრამები: მაგ., ხორცის დამუშავება და ხორც-პროდუქტების მომზადება. დამხმარე მზარეულის პოზიციაზე კერძების ტექნოლოგია შევქმენით; გავაკეთეთ საკონდიტრო-კულინარიული მინინაწარმისთვის. კონდიტერიაში – ტორტების ცხობა/დეკორი; შოკოლადზე მუშაობა. კოლეჯმა გააფორმა საკმაოდ ბევრ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება, რომ ერთობლივად განგვეხორციელებინა აღნიშნული მიმართულებით სწავლა და სტუდენტები ადგილზევე საქმდებიან. ეს დამსაქმებლისთვისაც კომფორტია, აღარ უწევს კადრის ძიება, რადგან მათ მიერ შერჩეულ კანდიდატებს ვასწავლით და შემდეგ ვასაქმებთ.

2017 წლიდან კოლეჯი აქტიურად ჩაერთო „შრომითი უნარების განვითარების პროგრამაში“, რომლის ფარგლებშიც 33 საჯარო სკოლაში ახორციელებს 58 პროექტს. სკოლები აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით. დღეის მდგომარეობით 1200-ზე მეტ სკოლის მოსწავლეს აქვს გავლილი „პროფესიული უნარების განვითარების კურსი“. აღნიშნულმა კურსებმა განაპირობა პროფესიული განათლების ცნობადობის ამაღლება და კოლეჯში სწავლის გაგრძელება.

როგორ თანამშრომლობთ კერძო სექტორთან, რამდენად არის დაინტერესება მათი მხრიდან კვალიფიციურ კადრებზე?

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში არსებულ დამსაქმებლებთან. ამ ეტაპზე 400-ზე მეტ პარტნიორ კომპანიასთან აქვს

გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი მომზადებული კადრების დასაქმების მიზნით.

უახლოეს მომავალში 270 ადამიანი უნდა მოვამზადოთ ერთ-ერთ რეგიონში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტისთვის. კოლეჯს ჰყავს უცხოელი პარტნიორები, კერძოდ, გერმანიაში ყოველწლიურად საკმაოდ ბევრი სტუდენტი გადის სტაჟირებას და იქაც საქმდებიან 4-5 ვარსკვლავიან სასტუმროებში. ამ ეტაპზე ჩვენი კოლეჯის 100 სტუდენტმა გაიარა სტაჟირება გერმანიაში, ნაწილს გაუფორმდა ხელშეკრულება და დასაქმდა კიდეც. გვყავს პარტნიორები შვედეთშიც, ჩვენმა სტუდენტებმა ახლახან გაიარეს შესარჩევი ტური, აქ მიღებული კვალიფიკაციით და ცოდნით გადამოწმდნენ და სრულად დააკმაყოფილეს შვედური მხარის მოთხოვნები. შვედური მხარე მათ საკმაოდ მაღალანაზღაურებად სამსახურებში დაასაქმებს.

როგორ მიმდინარეობს კოლეჯში საგანმანათლებლო პროცესი და რამდენი სტუდენტი სწავლობს ამ ეტაპზე?

კოლეჯში ძალიან დატვირთულად და პროდუქტიულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სწავლა სამ ცვლაში გვაქვს და მოქნილი გრაფიკი სწავლის მსურველებს ძალიან ეხმარება, მიიღონ სასურველი ცოდნა და გამოცდილება. ჩვენთან სწავლობენ დასაქმებული ადამიანებიც, რომლებიც საღამოს 6 საათის შემდეგ მოდიან კოლეჯში და ახალ ცოდნას იღებენ. სასწავლო პროცესი დილის ცხრიდან ღამის 11-მდე მიმდინარეობს შაბათ-კვირის ჩათვლით. ამ ეტაპზე გვყავს 450 სტუდენტი და 700 სტუდენტზე გვაქვს გამოცხადებული მიღება. იმისათვის, რომ სწავლა უფრო ეფექტური ყოფილიყო, შევამცირეთ ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა. ახლა თითო ჯგუფში 10 სტუდენტია და ამანაც ძალიან დადებითად იმოქმედა სწავლების ხარისხზე.

ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულების წარმატების ისტორიებიც, გაგვიზიარეთ ისინი.

ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრი წარმატების ისტორია იწერება ჩვენი კოლეჯის წარმატებების წიგნში. თითქმის 5000 სტუდენტმა დაამთავრა კოლეჯი „იკაროსი“, მიიღო კვალიფიკაცია და წარმატებულად გაგრძელა ცხოვრება. სტუდენტები, რომლებმაც ჩვენი კოლეჯი დაამთავრეს და საკმაოდ წარმატებულად იმუშავეს სხვადასხვა პოზიციაზე, კვალიფიკაცია აიმაღლეს საზღვარგარეთ, კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მოვიწვიეთ. ახალგაზრდა მასწავლებელი სტუდენტისთვისაც დამატებითი მოტივაციაა, რომ კიდევ უფრო მონდომებით მოეკიდოს სწავლას. თითოეული ჩვენი მასწავლებელი მაღალკვალიფიციური პედაგოგია და ძირითადი ბირთვი კერძო სექტორიდან წამოსული კადრია. მათ არ მიუტოვებიათ თავიანთი სფერო და აგრძელებენ მუშაობას. ჩვენი მასწავლებლები სასტუმროების და რესტორნების მაღალი რგოლის მენეჯერები და შეფმზარეულები არიან. პანდემიის პერიოდში კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს სურვილი გაუჩნდათ, რომ კოლეჯში ესწავლებინათ. ამან კიდევ უფრო გააიოლა ჩვენი კურსდამთავრებულების დასაქმება. ადგილობრივ და მსოფლიო ბაზარზე ძალიან დიდი მოთხოვნაა მომსახურების სფეროს კადრებზე. ახლახან ბერლინის კოლეჯთან დავდეთ მემორანდუმი. გერმანულ მხარეს სურს, დუალურ პროგრამაში ჩართოს ჩვენი სტუდენტები, იქ დაასაქმოს და მისცეს მათ 5-წლიანი მუშაობის უფლება.

რა სამომავლო გეგმები აქვს კოლეჯს?

შენობის ფართის სიმცირის გამო იქ, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს სწავლა, ვერ ხერხდება შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ახალი პროგრამების დანერგვა. საქართველოში ფართო მასშტაბით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული მშენებლობები, შენდება სხვადასხვა ტიპის საკვების მწარმოებელი/გადამამუშავებელი საწარმოები. შესაბამისად, მაღალია მოთხოვნა ტურიზმისა და სასურსათო პროდუქტების წარმოების მიმართულებების მაღალკვალიფიციურ კადრებზე და აღნიშნული სექტორების განვითარებისათვის საჭირო სხვა მომიჯნავე დარგებზე. ასევე მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს გადამამუშავებლი საწარმოების ამუშავებას და მოსახლეობისთვის სამეწარმეო უნარების განვითარებას.

მოცემულ ეტაპზე „იკაროსის“ ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ სექტორებში დამსაქმებლის მზარდ მოთხოვნას. ამასთან, პროფესიული განათლების მიღმა რჩება ბევრი დაინტერესებული პირი. ბოლო სამ წელში სწავლის მსურველთა რაოდენობა თითქმის 5-ჯერ აღემატებოდა კოლეჯის მიერ გამოყოფილი ადგილების რაოდენობას. კოლეჯის მიერ განხორციელებული სადიპლომო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ სადიპლომო პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტების მხრიდან ყველაზე მოთხოვნადია. შესაბამისად, კოლეჯის მთავარი სამომავლო გეგმები უკავშირდება შენობების რეაბილიტაციას, რაც შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას, დაიმატოს ახალ პროფესიული პროგრამები, რომელთა საჭიროება იკვეთება არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც. გაიზრდება ინტეგრირებული პროგრამების რაოდენობაც, რათა პროფესიული განათლების მიღების მსურველებს ჰქონდეთ არჩევანი ამ მიმართულებით, ხოლო სტუდენტების რაოდენობა 5-ჯერ გაიზრდება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს კოლეჯის, როგორც სასწავლო-საწარმოო დაწესებულების განვითარებას, მის ინტერნაციონალიზაციას, საერთაშორისო სასწავლო და შემოქმედებით პროექტებში ჩართულობას, მოკლევადიანი საერთაშორისო პროგრამების განვითარებას, სასწავლო საწარმოების ამოქმედებას.

USAID-ის პროგრამა „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“

ნინო ელბაქიძე

ჟურნალ „პროფესიული განათლების“ შეკითხვებს USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ დირექტორის მოადგილე საბა სარიშვილი პასუხობს.

ბატონო საბა, მოგვიყევით პროექტის შესახებ. რას არის მისი მთავარი მიზანი და ამოცანები?

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ და მისი ბიუჯეტი შეადგენს 24 მილიონ ამერიკულ დოლარს. პროექტის ხანგრძლივობა ხუთი წელია.

ჩვენს პროექტს ოთხი ძირითადი მიზანი აქვს: ადამიანური კაპიტალის განვითარება ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორებისთვის; პროდუქტიული, მდგრადი და ინკლუზიური დასაქმების ხელშეწყობა; კომპანიების კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა და მდგრადი და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის პარტნიორები არიან: პროფესიული უნარების სააგენტო; ბიზნესის და პროფესიული ასოციაციები; ადგილობრივი და საერთაშორისო საინვესტიციო ორგანიზაციები; კერძო საწარმოები; კერძო და საჯარო პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები; მედია.

მოგეხსენებათ, რომ შრომის ბაზარზე არსებობს მოთხოვნა და ასევე არსებობს სახელმწიფოში მიწოდების მექნიზმები. ჩვენი მიზანია, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნები თანხვედრაში იყოს მიწოდების მაჩვენებლებთან, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. შრომის ბაზარზე მოთხოვნას ქმნის კერძო სექტორი, დამსაქმებელი, ამიტომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავად კერძო სექტორი იყოს ჩართული ამ პროცესებში. შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია პროგრამის ინოვაციური მიდგომა თანადაფინანსებაზე დაფუძნებული გრანტების მიმართ (საგრანტო ფონდი – $13 მილიონი აშშ დოლარი). აღნიშნული მიდგომის საშუალებით შესაძლებელია კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის მომზადება ეკონომიკის სწრაფად მზარდი სექტორების მოთხოვნების შესაბამისად და პარალელურად, ამ პროცესში სამიზნე ჯგუფების – ახალგაზრდების, ქალების, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, ეთნიკური უმცირესობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო

საბა სარიშვილი

საჭიროების მქონე პირების ჩართულობის უზრუნველყოფა. პროგრამის განხორციელების შედეგად, სექტორულ დონეზე შეიქმნება ტრენინგის მიმწოდებელთა ქსელი, ასევე კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის მზარდი და ეფექტური მოდელი.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ გვაქვს სამი საგრანტო სქემა:

პროგრამის პირველი საგრანტო სქემა შედარებით მცირე საგრანტო თანხებს მოიცავს და მისი მაქსიმალური დაფინანსება შეადგენს 30 000 ამერიკულ დოლარს ერთ საგრანტო პროექტზე. ეს საგრანტო სქემა ემსახურება კერძო სექტორის სტიმულირებას უნარების განვითარების პროცესში ჩართვისთვის. ვინაიდან გააზრებული გვაქვს, რომ კერძო სექტორისთვის უნარების განვითარების პროცესებში მონაწილეობა მთავარი მიზანი არ არის, შემცირებული გვაქვს ის რისკები, რომლებიც ხელს შეუშლის აღნიშნულ პროცესებს. კერძო სექტორში ჩვენ განვიხილავთ როგორც ცალკეულ საწარმოებს, ასევე ბიზნეს-ასოციაციებს. კერძო სექტორი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ჩართული პროფესიული განათლების სისტემაში, სასწავლო პროგრამის შემუშავების, მიწოდების ან შედეგების შეფასების ეტაპზე. კერძო სექტორი შეიძლება ჩართული იყოს დამოუკიდებლად ან თანამშრომლობდეს პროფესიულ საგანმანათლებლო/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებასთან, იქნება ეს კერძო ან საჯარო კოლეჯი თუ უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც განახორციელებს პროფესიულ პროგრამებს.

პროექტს არ აქვს დარგობრივი შეზღუდვა, თუმცა განსაზღვრული გვაქვს ის პრიორტეტები, რომელთაც ითხოვს შრომის ბაზარი და აქტუალურია ეკონომიკის განვითარებისათვის. ასევე არ აქვს პროექტს გეოგრაფიული შეზღუდვა.

მეორე საგრანტო კომპონენტი ითვალისწინებს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, რაც გულისხმობს როგორც სადიპლომო, ასევე სასერტიფიკატო კურსების შემუშავებას. პროგრამები შესაძლებელია იყოს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების. მოკლევადიან პროგრამებად განვიხილავთ ისეთ კურსებს, რომლებიც არის ექვს თვეზე ნაკლები, ხოლო ექვს თვეზე მეტი ხანგრძლივობის პროგრამები ჩვენთან განიხილება, როგორც გრძელვადიანი. ხანგრძლივობის მიხედვით, გრანტებიც სხვადასხვაგვარია. მოკლევადიან პროგრამებზე მაქსიმალური საგრანტო თანხა ერთ პროექტზე არის 300 000 ამერიკული დოლარი, ხოლო გრძელვადიან პროგრამებზე შეადგენს მილიონნახევარ ამერიკულ დოლარს.

მესამე საგრანტო სქემა ემსახურება რეგიონის და პრიორიტეტული მოსახლეობისთვის – მაგალითად, საზღვრისპირა ოჯახებისთვის – ხარისხიან განათლებაზე წვდომის გაზრდას. ეს გულისხმობს არსებული პროგრამების რეპლიკაციას რეგიონებში. აქ მაქსიმალური საგრანტო თანხა ერთ პროექტზე არის 500 000 აშშ დოლარი.

თანადაფინანსების კომპონენტი გათვალისწინებულია სამივე საგრანტო სქემაში, როგორც პირველ, ასევე მეორე კომპონენტში. პირველი საგრანტო სქემის შემთხვევაში თანადაფინანსების მოთხოვნა არის 20%, ხოლო მეორე და მესამე სქემებში თანადაფინანსება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 50%-ს იგივე თანხას, რაც მოთხოვნილია გრანტის სახით. თანადაფინანსება ითვალისწინებს როგორ ნაღდი ფულით მონაწილეობას, ასევე უნაღდო მონაწილეობას.

გრანტის მიმღებთათვის პროექტს გათვალისწინებული აქვს ექსპერტების დახმარება, რათა ხელი შეეწყოს პროექტების ხარისხიანად წარმართვას. პირველი კომპონენტის საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპი უკვე გამოცხადებული იყო და ეს ეტაპი დასრულდა. ამჟამად მიმდინარეობს საგრანტო კონკურსების წარმოება მეორე და მესამე კომპონენტების ფარგლებში. გრანტის მიმღები შესაძლებელია იყოს კერძო სექტორი (კომპანია ან ბიზნესს-ასოციაცია), პროფესიული საგანმანათლებლო (საჯარო და კერძო) დაწესებულებები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (საჯარო და კერძო); პროფესიული ასოციაციები; საქართველოში რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციები. კერძო სექტორის ჩართულობა სხვადახვა ფორმით აუცილებელია ნებისმიერი საგრანტო პროექტისთვის. ჩვენი პროგრამა მიზნად ისახავს პოზიტიური ზეგავლენის მიღწევას სექტორის დონეზე და არ ემსახურება მხოლოდ ცალკეული კომპანიების მიმდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

პროფესიული სტუდენტობიდან პროფესიულ პედაგოგობამდე – წარმატებული მასწავლებლის ისტორია

შორენა ტყეშელაშვილი

ილია ბორაშვილის – პროფესიული მასწავლებლის ისტორია პროფესიულ კოლეჯ „იკაროსიდან“ იწყება. სკოლის დამთავრების შემდეგ ილიამ კოლეჯში სასტუმროს მენეჯმენტი შეისწავლა. სფერო, რომელიც ყოველდღიურად ვითარდება, მისთვის შთაგონების წყაროდ იქცა და ცდილობს, აჰყვეს მის რიტმს. დინამიკურ და სწრაფად ცვალებად გარემოს აქტიური და ენერგიული ადამიანი სჭირდება. ილიაც ასეთია. ის სფეროს განვითარების კვალდაკვალ ვითარდება, ინტერესით ეცნობა სიახლეებს და პროფესიულად იზრდება. წარმატებული კურსდამთავრებული გასულ წელს მშობლიურმა კოლეჯმა მასწავლებლად მიიწვია. „ჩვენი სფერო მოულოდნელობების სფეროა. ჩვენ ვიცით, როდის იწყება დილა ჩვენს სამსახურში, მაგრამ როდის უნდა დასრულდეს დღე – არა. ეს ყველაფერი ვინმეს შეიძლება ძალიან რთულად მოეჩვენოს, მაგრამ გამოწვევებიც საკმაოდ საინტერესოა, როდესაც ადამიანს უყვარს თავისი საქმე და სამსახური. მე ასე ვარ, მომწონს ეს ყველაფერი და სიამოვნებით ვაკეთებ“, – ამბობს ილია ბორაშვილი, კოლეჯის ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელიც სტუდენტებს იმ ცოდნას უზიარებს, რომელიც 13-წლიანი გამოცდილების შედეგად დააგროვა.

სადაც ისწავლეთ, ახლა უკვე თავად ასწავლით და ახალგაზრდებს ცოდნას და გამოცდილებას უზიარებთ. მოგვიყევით თქვენზე, რა შეისწავლეთ კოლეჯ „იკაროსში“ და რას ასწავლით ახლა სტუდენტებს?

კოლეჯ „იკაროსში“ 18 წლისამ ჩავბარე და ეს იყო კოლეჯის პირველი ნაკადი. შევისწავლე სასტუმროს მენეჯმენტის თეორიული ნაწილი და პრაქტიკული ნაწილი გავიარე სასტუმრო „ამბასადორში“ და „შერატონში“. ეს ის პერიოდია, როდესაც იხსნებოდა სასტუმრო „რედისონი“ და კოლეჯის კურსდამთავრებულების გამოსაშვებ გამოცდებს დაესწრო მისი მენეჯმენტი. სტუდენტებმა გავიარეთ გასაუბრება სასტუმროს ხელმძღვანელებთან, შეგვარჩიეს რამდენიმე წარჩინებული სტუდენტი და დავიწყეთ მუშაობა „რედისონში“.

2009 წლიდან მოვყვები ამ სფეროს. ჩემი პირველი პროფესიული პოზიცია დასუფთავების პოზიცია იყო. ამის შემდეგ რამდენიმე დეპატამენტი გამოვიცვალე და ყოველთვის მქონდა სურვილი, მესწავლა მეტი და მომენდომებინა მეტი. წლებია, კვებისა და სასმელების დეპარტამენტში ვარ და კიდევ უფრო დიდი გეგმები მაქვს.

კოლეჯ „იკაროსში“ მეორე წელია, ვასწავლი სარესტორნო საქმეს, რომელსაც ძალიან ბევრი განშტოება აქვს და ამასთან ერთად ვაგრძელებ მუშაობას „ჰოთელს&პრეფერენს ჰუალინგ თბილისში“ კვებისა და სასმელების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციაზე. სტუდენტებთან ურთიერთობა, პრაქტიკის მომავალი პროფესიონალებისთვის გაზიარება დიდი პროფესიული სიამოვნება და საინტერესო გამოწვევაა ჩემთვის. მიხარია, რომ საშუალება მაქვს, 13 წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება გადავცე ახალგაზრდებს, ავუხსნა, თუ როგორ მუშაობს მომსახურების სფერო, ვესაუბრო იმ ნიუანსებზე, რომელთა ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს სფეროში და ამ ცოდნის გარეშე ვერ იქნებიან წარმატებული.

კონკრეტულად რას ასწავლით სტუდენტებს, რა არის ის მიმართულებები, რისგანაც შედგება სარესტორნო საქმე?

კოლეჯში ვასწავლი სარესტორნო საქმესა და უსაფრთხოების

მართვას. ჩემი სალექციო კურსი „სარესტორნო მომსახურება“ შეიცავს პრაქტიკულ და თეორიულ ნაწილებს; არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამაც. კვებისა და სასმელების დეპარტამენტი მარტო სარესტორნო საქმე არ არის, ამ მიმართულებაში შედის ღონისძიების დაგეგმვა, ბარი, ასევე ოთახში მომსახურება. სარესტორნო საქმე ძალიან ბევრ კომპონენტს აერთიანებს, რომელთა ცოდნის გარეშე ამ სფეროში მუშაობა გაუჭირდება ადამიანს. გვაქვს გაწერილი საკმაოდ მაღალი სტანდარტი, ასევე ტრენინგ-პროგრამები, რაც დამწყებ თანამშრომელს ეხმარება, გაიღრმაოს ცოდნა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მიმართულებით – როგორ დახვდეს სტუმარს, როგორ გაანაწილოს სტუმრები რესტორანსა და ბარში, როგორ და რა პრინციპით შეიძლება დაგეგმოს სხვადასხვა ღონისძიება, ასევე შიდა ტექნიკური მხარე და სისტემა, რომელშიც თანამშრომელს უწევს მუშაობა. გვაქვს გასვლითი ტურებიც, მაგალითად, ღვინის კომპანიებში, რთველზე, როდესაც თანამშრომელი უშუალოდ ჩართულია, ხედავს და სწავლობს ღვინის დამზადების ტექნოლოგიებს. ეს მოკლე ჩამონათვალია იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს დამწყები ამ სფეროში.

როგორია თქვენი სფერო, როგორ აინტერესებთ სტუდენტებს?

თავიდან მეგონა, სასტუმროში მუშაობა ძალიან მარტივი იყო. ეს ასე ნამდვილად არ არის. ჩემს ლექტორებს რომ მთელი გულით არ აეხსნათ ამ საქმიანობის სირთულეები, მთელი გული რომ არ ჩაედოთ ამის სწავლებაში, შესაძლებელია არც გავყოლოდი ამ საქმეს და მხოლოდ დამესრულებინა კურსი. ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ლექტორზე, როგორ დაინტერესებს, როგორ შეაყვარებს სტუდენტს მომავალ საქმეს და ჩემმა ლექტორებმა ეს შეძლეს. თეორიული კურსი, რომელიც კოლეჯში გავიარე პრაქტიკულ კურსთან ერთად, ძალიან დამეხმარა, ჩამოვყალიბებულიყავი ამ სფეროში პროფესიონალად. კარგად მახსოვს

ილია ბორაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

სტუდენტობის გამოცდილება და ამიტომ ვცდილობ, ჩემს სტუდენტებს მაქსიმალურად გავუზიარო გამოცდილება – ის, რაც ამ სფეროში მუშაობისას დამიგროვდა. ჩემი სალექციო კურსი უფრო პრაქტიკაზეა აწყობილი და პირად გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ვცდილობ, სტუდენტებს მეტი პრაქტიკული შემთხვევა გავაცნო და ავუხსნა, რა როგორ შეიძლება გაკეთდეს; ავუხსნა, თუ რა შეიძლება მოიმოქმედონ კრიზისულ სიტუაციაში და როგორ მართონ პროცესი, რა როგორ ჯობდა და როგორი გამოსავალი იქნებოდა უკეთესი. ყველა ნიუანსის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს სფეროში. სტუდენტები დამყავს პრაქტიკაზეც, სადაც ვაჩვენებ, როგორ ხორციელდება სარესტორნო საქმე, როგორ მუშაობენ თანამშრომლები და ა.შ. ამ საქმის გვერდიდან დანახვა სტუდენტს უფრო აინტერესებს და საკუთარ შესაძლებლოებებსაც უკეთ იაზრებს. თუ ის მონდომებულია და ინტერესი აქვს დასაქმების, ვასაქმებთ. მე დღესაც ვსწავლობ ძალიან ბევრ რამეს, ვეცნობი სიახლეებს და დაინტერესებული ვარ მუდმივი ზრდით და განვითარებით. ერთი შეხედვით, თითქოს მარტივია ჩვენი საქმე, მაგრამ მომსახურების სფეროს წარმომადგენელმა ყველა სტუმრის ხასიათი, ინდივიდუალიზმი უნდა ამოიცნოს და მოთხოვნებს დახვდეს მზად. ასეთი განწყობა მაქვს ყოველდღე, როდესაც მივდივარ სამსახურში. ვიცი, ძალიან ბევრი გამოწვევა მელოდება იმ დღეს და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყო. ჩვენი სფერო მოულოდნელობების სფეროა. კარგად ვიცით, როდის იწყება დილა ჩვენს სამსახურში, მაგრამ როდის უნდა დამთავრდეს დღე – არა. ეს ყველაფერი ვინმეს შეიძლება ძალიან რთულად მოეჩვენოს, მაგრამ გამოწვევებიც საკმაოდ საინტერესოა, როდესაც ადამიანს უყვარს თავისი საქმე და სამსახური. მე ასე ვარ, მომწონს ეს ყველაფერი და სიამოვნებით ვაკეთებ.

რას ურჩევთ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ჯერ არ აურჩევიათ პროფესია, რა უნდა გაითვალისწინონ?

ვფიქრობ, თითოეულმა ადამიანმა ძალიან კარგად უნდა გაიაზროს საკუთარი შესაძლებლობები, გაანალიზოს და დააკვირდეს საკუთარ სურვილებს; დააკვირდეს, რის კეთება სიამოვნებს და აინტერესებს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება, სანამ პროფესიულ არჩევანს გააკეთებს. თუ ადამიანს აქვს ინტერესი, მოსინჯავს საკუთარ ძალებს გარკვეულ სფეროში და იპოვის კიდეც თავის საქმეს. ასევე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ხელმძღვანელობაზე, მასწავლებელზე, რომ დაეხმაროს სტუდენტს, მიაგნოს თავის საქმეს და შემდეგ კი მთელი მონდომებით გამოძერწოს სტუდენტისგან კარგი სპეციალისტი, საქმის კარგი მცოდნე და კვალიფიციური კადრი.

რას ფიქრობთ პროფესიულ განათლებაზე, რატომ არის ის მნიშვნელოვანი ადამიანისთვის?

მე კოლეჯის პირველი ნაკადის სტუდენტი ვიყავი. იმ დროს არ იყო ასე ძალიან პოპულარული პროფესიული განათლება. დროთა განმავლობაში პროფესიული განათლების პრესტიჟი გაიზარდა, ახალგაზრდები დაინტერესდნენ და მისი პოპულარობაც იზრდება. ვფიქრობ, თანამედროვე ადამიანები კარგად ვიაზრებთ, როგორი მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება, პროფესიული უნარები ადამიანისთვის და როგორ შეიძლება შექმნა შენი ცხოვრება. როდესაც ადამიანს აქვს პროფესიული განათლება, მას არასდროს გაუჭირდება დასაქმება. ამას ვეუბნები ჩემს სტუდენტებსაც. 2008 წლის შემდეგ ჩვენმა კოლეჯმა ბევრი რამ გააკეთა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის კუთხით და ძალიან ბევრ კომპანიას შესთავაზა წარჩინებული სტუდენტები დასასაქმებლად. მათ შორის ვიყავი მეც. პროფესიული კარიერა საკმაოდ დაბალი პოზიციიდან დავიწყე და მოვედი აქამდე. თუ ადამიანს განვითარების და პროფესიული წინსვლის სურვილი აქვს, ის აუცილებლად მიაღწევს წარმატებას და უკეთ იცხოვრებს.

მომავალი კონდიტერი აკაკი ცანკაშვილი და ოცნება საკონდიტროზე

შორენა ტყეშელაშვილი

19 წლის **აკაკი ცანკაშვილი** კოლეჯ „იკაროსის“ სტუდენტია. ის მათ რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც ყოველდღიურად უწევთ, დაუმტკიცონ საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ შესაძლებლობები უსაზღვროა – მთავარია, საკუთარ სურვილებს მიჰყვეს ადამიანი და ამოიცნოს ისინი. აკაკი სპეციალური საგანანმანათლებლო საჭიროების მქონეა. ის სმენადაქვეითებულია და ინტერვიუს დროს კოლეჯის ჟესტური თარჯიმნის, ნატალია ბოხუას დახმარებით გვესაუბრება.

„მე მქონდა ბევრი გეგმა, იდეები და ყოველთვის აქტიური ადამიანი ვიყავი. ვსწავლობდი 203-ე საჯარო სკოლაში და სკოლიდან დავდიოდი ცეკვაზე ყრუთა კავშირში. 2018 წელს ცეკვიდან საბერძნეთში ვიყავით წასული და კონკურსში მეორე ადგილი ავიღეთ. 2019 წელს მონაწილეობა მივიღე სილამაზის კონკურსში, რომელიც იტალიაში ტარდებოდა და მოვიპოვე ყრუთა საზოგადოების მეორე ადგილი და ასევე ფოტოკონკურსში – მესამე ადგილი. ბევრი საინტერესო ისტორია მაქვს და ჩემი ცხოვრების ცენტრალური ისტორია ჩემი პროფესიული არჩევანია. მე ყოველთვის ვოცნებობდი საკონდიტროზე, მინდოდა, მესწავლა ტკბილეულის კეთება და სკოლის დამთავრების შემდეგ განაცხადი შევიტანე კოლეჯში „იკაროსი“ და ჩავირიცხე. უკვე მეორე წელია, სტუდენტი ვარ და ვსწავლობ კონდიტერიას“, – გვეცნობა აკაკი.

აკაკიმ თავიდანვე კარგად იცოდა, რისი კეთება მოსწონდა და რა ანიჭებდა ბედნიერებას. ის ბავშვობიდან ოცნებობდა საკონდიტრო საქმიანობაზე და ახლაც დარწმუნებულია იმაში, რომ ეს მისი ცხოვრების საქმეა – შოკოლადზე მუშაობა. აკაკის მონდომება და განსაკუთრებული უნარები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ კოლეჯში და 2022 წლის მარტში პოლონეთში გაუშვეს პროფესიული კოლეჯების კონკურსზე, სადაც 28 მონაწილეს შორის მან მესამე ადგილი აიღო საკონდიტრო მიმართულებით. პოლონეთიდან დაბრუნებულმა კი გადაწყვიტა, ძალა სატელევიზიო პროგრამაში „მასტერშეფი“ მოესინჯა. აკაკი დღეს პროექტის მონაწილეა, სურს წარმატების მიღწევა და არ აპირებს დანებებას.

„კოლეჯმა ძალიან ბევრი შესაძლებლობა და გამოცდილება მომცა, დამარწმუნა იმაში, რომ სრულიად შესაძლებელია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირიც იყოს წარმატებული თავის საქმეში. რომ არა კოლეჯის და ადმინისტრაციის მხარდაჭერა, წახალისება და მოტივაციის ამაღლება, ვერასდროს გავბედავდი ბევრ რამეს და შესაბამისად, ჩემი წინსვლაც ვერ მოხერხდებოდა. „მასტერშეფში“ მონაწილეობაც კოლეჯის დამსახურებაა, მან გამიხსნა ძალიან ბევრი გზა და ძალიან ბევრი დახურული კარი გამიღო“, – ამბობს აკაკი.

აკაკის ოჯახი გურჯაანში ცხოვრობს. ვენახები აქვთ და ღვინოს აწარმოებენ. ის გვიყვება, თუ როგორ კამათობდა მამასთან პროფესიის არჩევისას. მამა ურჩევდა, მევენახის პროფესია აერჩია, აკაკი უარობდა და ოცნებობდა საკონდიტრო საქმიანობაზე – ამაზე ფიქრს არ წყვეტდა. ის ბოლომდე თავისი სურვილის ერთგული დარჩა, არ დათმო მიზანი და წარმატებებიც ნელ-ნელა მოვიდა მის ცხოვრებაში. ახლა მამაც კმაყოფილია და უწონებს შვილს არჩევანს, რადგან აკაკიმ ყველა დაარწმუნა, რომ კონდიტერობა მისი ცხოვრების საქმიანობაა.

„უკვე ყველა ბედნიერია ოჯახში ჩემი წარმატებით, ამაყობენ და უხარიათ. მამიდა მყავს, რომელიც სულ მეუბნება, რომ სჯერა ჩემი და რომ აუცილებლად უნდა მივყვე იმ საქმეს, რომელიც მომწონს. ზოგიერთი ადამიანი ჩემზე ფიქრობდა, რომ რადგან სმენა არ მაქვს, ვერ გავაკეთებდი რამეს. კოლეჯში სწავლამ და მიღებულმა გამოცდილებამ

ეს ეჭვებიც გამიფანტა, დამარწმუნა, რომ შევძლებ, რისი კეთებაც მსურს“, – გვეუბნება აკაკი.

პირველად 10 წლის იყო, როდესაც კერძი მოამზადა ოჯახისთვის. ამ დროს სახლში პატარა ძმა გაჩნდა და აკაკი ცდილობდა, დახმარებოდა დედას საქმეებში. ცოტა ხანში ოჯახმა კომპიუტერი შეიძინა და აკაკიმაც იუთუბზე დაიწყო საკონდიტრო ნაწარმის თვალიერება. უყურებდა, როგორ ამუშავებდნენ შოკოლადს, როგორ ასხამდნენ ფორმებში და მაშინ გადაწყვიტა, შეესწავლა ეს

„პირველად რომ მივედი კოლეჯში, კრემის და ნამცხვრების გაკეთება ვიცოდი და აღმოჩნდა, რომ კიდევ უამრავი რამის სწავლა შეიძლება. თავიდანვე ავენთე იმ გრძნობით, რომ აუცილებლად ყველაფერი უნდა შემესწავლა, იქნებოდა ეს კარამელის თუ შოკოლადის დამუშავება. კონდიტერისთვის ეს პროცესი ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა. კონდიტერი ქმნის ნახატებს, იგონებს ფიგურებს, მუშაობს ცხელ ლამპასთან, სადაც ამუშავებს ტკბილეულს, ეწვება ხელები, მაგრამ მაინც არ უნდა დანებდე და შექმნა

შოკოლადს და ვერც კარამელს ისე ვერ გააკეთებ, თუ ყველა ნიუანსი და დეტალი არ გაითვალისწინე“, – გვიყვება აკაკი შოკოლადის და კარამელის ალქიმიაზე.

აკაკი ცანკაშვილს ბევრი გეგმა აქვს სამომავლოდ. სურს, პატარა საკონდიტრო გახსნას გურჯაანში, რომლისთვისაც ყველაფერს თვითონ მოამზადებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს გემრიელი საკონდიტრო ნაწარმის შესაძენად თბილისში წასვლა აღარ მოუწევთ.

აკაკი ცანკაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

საქმიანობა – მიხვდა, რომ ეს მისი მომავალი საქმე იყო. 12 წლისა უკვე ტორტებს აცხობდა სახლში და 15-16 წლისა უკვე თვითონაც კმაყოფილი რჩებოდა თავისი ნაწარმით. კოლეჯში სწავლისას კი უკვე დეტალურად და სიღრმისეულად შეისწავლა, რა არის საჭირო კარგი საკონდიტრო ნაწარმის შესაქმნელად.

საუკეთესო ნაწარმი. შოკოლადის დამუშავება ძალიან საინტერესო და შრომატევადი პროცესია, მასა დიდხანს უნდა ამუშავო ხელით, ფორმა უნდა მისცე, ტემპერატურა სწორად უნდა დაარეგულირო. ამ ყველაფერს თავისი წესები და კანონები აქვს და ამის სწავლა ძალიან საინტერესოა ჩემთვის, რადგან ვერც

აკაკი წარმატებული კონდიტერი რომ გახდეს, საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს თავისი საქმე. ეს თავადაც კარგად იცის და გამოცდილებაზე დაყრდნობით, იმაშიც დარწმუნდა,რომ თუ მიზანს დაისახავს და მოინდომებს, ყველაფერს მიაღწევს.

დუალური განათლების ხიბლი და გამოწვევები საქართველოში

შორენა ჯაფარიძე
პროფესიული განათლების ექსპერტი

ქალბატონო შორენა, რას ნიშნავს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა – დუალური განათლება და რატომ არის ის ასე წარმატებული ევროპის ქვეყნებში?

დუალური განათლება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმაა, როდესაც პროფესიული სტუდენტი ორ ადგილას იღებს განათლებას – საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც თეორიულ ცოდნას იძენს და რეალურ სამუშაო გარემოში – კომპანიაში, სადაც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ეუფლება. აღსანიშნავია, რომ სწორედ რეალურ სამუშაო გარემოში ხდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დიდი ნაწილის (50%-ზე მეტი) მიღწევა. საგანმანათლებლო დაწესებულება და კომპანია ინაწილებენ პასუხისმგებლობას სტუდენტის სწავლებაზე. სტუდენტს ამ შემთხვევაში ორმაგი სტატუსი აქვს – ერთი მხრივ, ის არის სტუდენტი, ხოლო მეორე მხრივ – დასაქმებული, რომელიც იღებს გარკვეულ ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

პროფესიულ განათლებაში დუალური სწავლების მოდელი სამართლიანად აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული. ის წარმატებით ხორციელდება ევროპულ ქვეყნებში და პირველ რიგში, გერმანიაში, სადაც ეს ტრადიცია 100 წელზე მეტს ითვლის. გერმანული ეკონომიკის წარმატება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ეკონომიკაა ევროპაში, სწორედ დუალური პროფესიული განათლების პოლიტიკას უკავშირდება. დუალური მოდელის შემთხვევაში ადამიანთა დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იზრდება. სტუდენტებს ეძლევათ მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ სამუშაო სიტუაციაში გამოყენების შესაძლებლობა. კომპანიაში სწავლისა და მუშაობის პერიოდი მათ სამუშაო სტაჟში ეთვლებათ, ამასთან ისინი ანაზღაურებასაც იღებენ. ყველაფერი ეს განაპირობებს დუალური სწავლების მოდელის პოპულარობასა და წარმატებას.

რა სარგებელი აქვს კერძო სექტორისთვის დუალურ განათლებას? რა მოტივაცია შეიძლება ჰქონდეს კომპანიას, რომ ჩაერთოს დუალურ განათლებაში?

დუალური მოდელის შემთხვევაში კომპანია, ანუ დამსაქმებელი უშუალოდ მონაწილეობს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე – პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, სტუდენტთა შერჩევა, მათი სწავლება, მიმდინარე შეფასება, საკვალიფიკაციო გამოცდა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა, გაუმჯობესება. როგორც ვხედავთ, კომპანია სასწავლო პროცესის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სრული ციკლის მონაწილე ხდება. ეს მათი ვალდებულება და პასუხისმგებლობაა. სწორედ ასეთი ჩართულობიდან გამომდინარეობს ის სარგებელი, რომელსაც იღებს კერძო სექტორი დუალური განათლებისგან.

მარტივად რომ ვთქვათ, კომპანიებს აქვთ საშუალება, „თავის ჭკუაზე“ გამოზარდონ მომავალი კადრები, მოარგონ საგანმანათლებლო პროგრამა საკუთარ საჭიროებებს და საბოლოო ჯამში მიიღონ ძალიან კვალიფიციური თანამშრომლები. გარდა ამისა, კომპანია იღებს გარკვეულ შემოსავალს სტუდენტების სამუშაო პროცესში ჩართვისგან. დუალურ სწავლებაში კომპანიებს უადვილდებათ სამუშაო ძალის მოძიება, ვინაიდან მათ შეუძლიათ დააკვირდნენ სტუდენტებს და შეარჩიონ თანამშრომლებად საუკეთესონი. ასევე მნიშვნელოვნად მცირდება დასაქმების შემდგომი ტრენინგების საჭიროება და ხარჯები. გარდა ამისა, იზრდება ნდობა დუალური პროგრამის განმახორციელებელი კომპანიის მიმართ; სწავლა-სწავლების შედეგად იზრდება კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის და სერვისების დამატებითი რეკლამირება და შედეგად იზრდება კომპანიის ცნობადობა და კონკურენტუნარიანობა.

აქვე მინდა დავამატო, რომ დუალური მოდელის დანერგვას სარგებლობა მოაქვს არა მარტო კერძო სექტორისთვის, არამედ სტუდენტისთვის, ამ პროცესში ჩართულ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, სახელმწიფოსთვის და ზოგადად მთელი საზოგადოებისთვის.

რაც შეეხება კითხვას, თუ რა მოტივაცია შეიძლება ჰქონდეს კომპანიას, რომ ჩაერთოს დუალურ განათლებაში – სწორედ ის სარგებელი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ: კვალიფიცური კადრები, მაღალი ცნობადობა, ხარჯების დაზოგვა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, კონკურენტუნარიანობა. ვფიქრობ, ეს საკმარისია, რომ სულ უფრო მეტ კომპანიას გაუჩნდეს დუალურ სწავლებაში მონაწილეობის სურვილი. უცხოეთში დუალური სწავლების განმახორციელებელი კომპანია ერთგვარი „ხარისხის ნიშნის“ სინონიმია, რაც ნიშნავს, რომ კონკრეტულ კომპანიას აქვს რესურსი, გაზარდოს პროფესიონალები. ვიმედოვნებ, რომ დადგება დრო, როდესაც ჩვენთანაც იგივე იქნება.

მოგვიყევით კომპანიის ინსტრუქტორის შესახებ: რა ევალება მას, რა არის მისი მოტივაცია?

კომპანიის ინსტრუქტორი დუალურ სწავლებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. „პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში“ კომპანიის ინსტრუქტორი მასწავლებლის ერთ-ერთ სახედ მოიაზრება. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინსტრუქტორი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც დასაქმებულია კომპანიის მიერ და უზრუნველყოფს სამუშაო ადგილზე პრაქტიკული უნარებისა და საკვანძო კომპეტენციების განვითარებას; საჭიროების შემთხვევაში სწავლება-შეფასების პროცესში იღებს პროფესიული მასწავლებლების მხარდაჭერას.

შორენა ჭაფარიძე. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

რა შედის ინსტრუქტორის ძირითად მოვალეობებში? ინსტრუქტორი მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, სასწავლო გარემოს მოწყობაში; მას ევალება სასწავლო პროცესის წარმართვა და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება; ეთიკური და ეფექტიანი სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბება და ასევე საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

იმისათვის, რომ ეს მოვალეობები შეასრულოს, უნდა არსებობდეს კომპანიის ინსტრუქტორების მომზადებისა და პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემა. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. ასე მაგალითად, 2016 წელს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შესახებ კონცეფციის შემუშავებასთან ერთად, UNDP-ის მხარდაჭერით შევიმუშავეთ კომპანიის ინსტრუქტორის ტრენინგ-პროგრამა, რომელიც ორ ეტაპად ხორციელდება – ჯგუფებში და შემდგომ სამუშაო ადგილზე. რაც შეეხება მოტივაციის საკითხებს, აქ გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით. ზოგადად, ინსტრუქტორის მოტივაცია განსხვავდება კომპანიის მოტივაციისგან, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. საქმე ისაა, რომ განსხვავებით ევროპული ქვეყნებისაგან, ჩვენთან ჯერჯერობით პროფესია – „კომპანიის ინსტრუქტორი“, რომელიც მხოლოდ ინსტრუქტორისთვის შესაბამის მოვალეობებს შეასრულებს – არ არსებობს. ჩვენს რეალობაში ინსტრუქტორი დაკავებულია კომპანიაში თავისი ძირითადი საქმიანობით, ხოლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებაში მონაწილეობა, სტუდენტების სწავლება-შეფასება, ტრენინგებში მონაწილეობა და ა.შ. „დამატებით დატვირთვას“ წარმოადგენს. ძალიან ხშირად ეს „დამატებითი დატვირთვა“ არაანაზღაურებადია და ის ამას ხელმძღვანელობის დავალებით ასრულებს. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ასეთი ინსტრუქტორი იყოს სათადანოდ მოტივირებული? გრძელვადიან პრესპექტივაში არამოტივირებული ინსტრუქტორი ვერ იქნება კარგი ინსტრუქტორი. საჭიროა მოტივაციის მექანიზმების ამოქმედება. მაგალითად, სახელმწიფოს ჩართულობა ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. კერძოდ, იმ დანაზოგის თუნდაც მცირე ნაწილი, რასაც სახელმწიფო იღებს დუალური პროგრამების განხორციელებით (სადაც ხარჯები პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე ძირითადად კომპანიაზე მოდის), შეიძლება, რომ ინსტრუქტორების მოტივაციას მოხმარდეს. გარწმუნებთ, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის დუალური პროგრამების როგორც რაოდენობას, ასევე ხარისხს. ჩვენ ხომ სწავლების დუალური მოდელის დანერგვის მიმართულებით პირველ ნაბიჯებს ვდგამთ. სწორედ ახლა არის საჭირო მაქსიმალური მხარდაჭერა. ყველაფერი შეიძლება ჩავარდეს, თუ ინსტრუქტორი შესაბამისად არ იქნება მომზადებული და მოტივირებული.

როგორ მიმდინარეობს დუალური განათლების დანერგვა საქართველოში: რა მიღწევები და გამოწვევები გვაქვს ქვეყანაში – როგორია თქვენი შეფასება?

საქართველოში დუალური განათლების მოდელის დანერგვა 2016 წლიდან დაიწყო. თუ თავდაპირველად სულ რამდენიმე პროგრამით დავიწყეთ სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებით, დღესდღეობით, ჩემი ინფორმაციით, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია 43 დუალურ პროგრამაზეა გამოცხადებული.

შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიულ განათლებაში დუალური სწავლების მოდელის დანერგვა წარმატებულად ხორციელდება. რა გამოწვევებს და ბარიერებს ვხედავ დუალური განათლების დანერგვის პროცესში საქართველოში? დავასახელებ ზოგიერთ მათგანს:

- ასეთი საინტერესო პარადოქსი არსებობს – „რაც უფრო მაღალია ქვეყნის განვითარების ეკონომიკური დონე, მით უფრო წარმატებით ხორციელდება დუალური სწავლების მოდელი“ და პირიქით, „დუალური სწავლება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს“. ასე რომ, ორივეზე უნდა ვიზრუნოთ.
- ინფორმაციის ნაკლებობა დუალური სწავლების შესაძლებლობების და სარგებლის შესახებ კერძო სექტორში, მოსახლეობაში – მიუხედავად იმისა, რომ მართლაც ძალიან ბევრი კეთდება ამ მიმართულებით, მაინც გამოწვევად რჩება.
- დუალური პროგრამების სტრუქტურა, ფორმა და შინაარსი ნაკლებად მორგებულია დუალური სწავლების სპეციფიკას და რთულად აღსაქმელია ინსტრუქტორებისთვის, ეს პროგრამები შემუშავებულია მოდულური პროგრამების საფუძველზე, ამიტომ მიზანშეწონილია მათი გარკვეული ადაპტაცია ამ გამოწვევის დასაძლევად.
- დუალურ სწავლებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის (საგანმანათლებლო დაწესებულება, კომპანიები, სტუდენტები, საზოგადოება) კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების არარსებობა.
- როგორც კომპანიის ინსტრუქტორების, ასევე კომპანიის მოტივაციის სუსტი მექანიზმები – წახალისების მექანიზმების ამოქმედება, როგორც მატერიალური, ასე არამატერიალური სახით (ნომინაცია – დუალურ სწავლებაში ჩართული კომპანია და დაწესებულება, სტუდენტი).
- კომპანიის ინსტრუქტორების მომზადება-გადამზადების უწყვეტი სისტემის არარსებობა.

კარიერის განვითარების მხარდაჭერის სისტემები საქართველოში – რეფორმებიდან შედეგებამდე

თეა სიფრაშვილი
პროფესიული განათლების მკვლევარი

ფლორიან კადლეტცი
აღმოსავლური კაპიტალის განვითარების ექსპერტი, ევროპის განათლების ფონდი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგში გაჩნდა დასაქმების მხრდაჭერის სერვისები. არსებობს სისტემის ორგანიზებასთან დაკავშირებული ხედვა და არაერთი პროგრამაც დაიწყო ამ სფეროში. თუმცა ბოლოდროინდელი გამოკითხვები, რომლებიც ახალგაზრდების განათლებიდან დასაქმების სფეროში გადასვლის საკითხებს იკვლევს, ასკვნის, რომ ახალგაზრდა რესპოდენტთა უმეტესობას არასოდეს მიუღია კარიერული განათლება და კონსულტაცია. ხელმისაწვდომია თუ არა მოქალაქეებისთვის კარიერის დაგეგმვის უწყვეტი სერვისები? ამ საკითხზე მონაცემების შეგროვება არ ხდება და, შესაბამისად, ინფორმაცია არასრულია, თუმცა საქართველოში კარიერის განვითარების მხარდაჭერის სისტემების ETF-ის მიერ განხორციელებულმა შეფასებამ, რომელიც ყველა ჩართულ მხარესთან კონსულტაციების საფუძველზე გაკეთდა, დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ, ამ სექტორის პოლიტიკისა და სერვისების შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვან მტკიცებულებებს მოუყარა თავი.

კვლევის ძირითადი დასკვნები

დასაქმების ხელშეწყობის შესახებ კანონი 2019 წელს დამტკიცდა და დასაქმების სერვისებს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო საagენტომ მოუყარა თავი.[1] სააგენტო ემსახურება ნებისმიერი ასაკის რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელს. სამუშაოს მაძიებლის სტატუსიც, პრაქტიკულად, შეიძლება ჰქონდეს ყველას, გამომდინარე ფაქტიდან, რომ სერვისებზე ხელმისაწვდომობისთვის ერთადერთი წინაპირობა ოფიციალურ სახელმწიფო პორტალზე www.worknet.gov.ge სამუშაოს მაძიებლად დარეგისტრირებაა. ბენეფიციარების ამ ფართო ჯგუფს სააგენტო თბილისში არსებულ 5 და რეგიონებში მდებარე 7 ფილიალში მოემსახურება.

დასაქმების მხარდაჭერასთან დაკავშირებული სერვისების განვითარება 2012 წლიდან დაიწყო, როცა ამ ფუნქციების შესრულება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს[2] დაევალა. ამჟამად მოქმედ სერვის-მოდელს საფუძველი 2014 წელს დამტკიცებულმა პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგემგმვის კონცეფციამ და ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროექტის ფარგლებში შემუშავებულმა „ახალმა სერვისმოდელმა“ ჩაუყარა. მოდელი ბოლო 7 წლის განმავლობაში მუდმივად იხვეწება.

ამჟამად დასაქმების სააგენტოს მიერ სამუშაოს მაძიებლებისთვის შეთავაზებული სერვისები მოიცავს დასაქმების ხელშეწყობის (სამუშაოს მაძიებლის ბაზაში რეგისტრაცია, კარიერის განვითარების შესაძლებლობებზე ინფორმირება, პროფილირება, დასაქმების შესაძლებლობის შეფასება, კონსულტირება, საგანმანათლებლო კურსის შეთავაზება, აგრეთვე შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა და დამსაქმებლისთვის შესაფერისი სამუშაო ძალის მოძიებაში დახმარება) და დასაქმების (დამსაქმებლისა და სამუშაოს მაძიებლის დაკავშირება, შრომითი ანაზღაურების სუბსიდირება, სტაჟირება, შრომითი მიგრაცია) ღონისძიებებს.

კარიერის განვითარების მხარდაჭერის სისტემის სხვა ქვესისტემებს კურირებს განათლებისა და მეცნიერების (და მისდამი დაქვემდებარებული სკოლები, პროფესიული კოლეჯები და უნივერსიტეტები) და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (და მის დაქვემდებარებაში მყოფი ახალგაზრდობის სააგენტო). გარდა ამისა, შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვაზე პასუხისმგებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შრომის საინფორმაციო სისტემის სამმართველო.

თეა სიფრაშვილი

კარიერული განათლება ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე გამჭოლი კურიკულუმის სახით არის წარმოდგენილი, ამასთან, კარიერული განათლება წარმოადგენს ე.წ. „კლასის დამრიგებლის საათის პროგრამის“[3] ნაწილს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კარიერულ განათლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები მოიცავს ინფორმაციას პროფესიების შესახებ, საკუთარი ინტერესების შემეცნებასა და კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესს[4]. სამწუხაროდ, იმის გათვალისწინებით, რომ საგნის მასწავლებელსა და კლასის დამრიგებელს არ აქვთ კარიერული განათლების ეფექტური მიწოდებისათვის შესაბამისი კვალიფიკაცია და რესურსები, კურიკულუმის განხორციელება არ ხდება ეფექტურად.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დონეზე კარიერული განათლების არაერთი კარგი პრაქტიკა არსებობს. ამერიკის საერთაშორისო დახმარების სააგენტოს GPriEd პროგრამის ფარგლებში პილოტირებული იყო 6-9 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის კარიერული განათლების ინოვაციური პროგრამა. განათლების სამინისტროს პროგრამამ „პროფესიული უნარების განვითარება სკოლის მოსწავლეებს შორის“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 25% მოიცვა[5]. პროგრამის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-8-მე-9 კლასებში პროფორიენტაციის გაუმჯობესება სხვადასხვა სერვისის, უმეტესწილად მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების შეთავაზებით. პროგრამის ფარგლებში 2017 წელს – 200, 2018 წელს – 348 და 2019 წელს კი – 590 მოკლევადიანი კურსი განხორციელდა. 2020 წლისთვის ასეთი სკოლების რაოდენობამ 700-ს მიაღწია.

პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეზე კარიერული სამსა-

ხურების არსებობა კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ავტორიზაციის სტანდარტებით არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ყველა დაწესებულებას ჰყავს კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები და სტუდენტებს სთავაზობს საბაზო კარიერულ სერვისებს, როგორიცაა დამსაქმებლებთან კავშირი, სტაჟირება და სამუშაო ადგილის მოძიება, პოტენციური სტუდენტების მობილიზება და კურსდამთავრებულთა კვლევების განხორციელება.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული ახალგაზრდობის სააგენტო პასუხისმგებელია 29 წლამდე ახალგაზრდებზე. სერვისები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სხვადასხვა პროგრამის (საზაფხულო სკოლები და ბანაკები, ჰობის ცენტრები და სხვ.) ფარგლებში საკვანძო კომპეტენციების ტრენინგების შეთავაზებას, ასევე, კარიერული ინფორმაციის პორტალს (www.myprofession.gov.ge), რომელიც 2015 წელს შეიქმნა და ახალგაზრდებისთვის ალტერნატიული კარიერის დაგეგმვის სერვისს წარმოადგენს. იმისთვის, რომ კარიერის დაგეგმვაში ეფექტური წვლილი შეიტანოს, პორტალს სჭირდება შემდგომი განვითარება. ახლახანს დამტკიცებული ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის ფარგლებში[6] მოიაზრება ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის შექმნა,[7] ონლაინ კარიერული დაგეგმვის პლატფორმის შემდგომი განვითარება და ხელმისაწვდომობისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ახალგაზრდებისთვის.

www.myprofession.gov.ge-ს მსგავსად, შრომის ბაზრის და კარიერული ინფორმაციის სხვა პორტალებიც პოტენციურ ბენეფიციარებზე ნაკლებად არის მორგებული. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა www.lmis.gov.ge მოიცავს ინფორმაციას შრომის ბაზრისა და საგანმანათლებლო / ტრენინგების შესაძლებლობების შესახებ და ეყრდნობა ეკონომიკის სამინისტროს, ასევე ეროვნული სტატისტიკისა და განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებულ კვლევებს. განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო პორტალი www.vet.ge წარმოადგენს საქართველოში ფორმალური პროფესიული განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობების საძიებო სისტემას. ორივე პორტალს აკლია კარიერის არჩევისას მომხმარებლისათვის საჭირო დეტალური ინფორმაცია.

როგორც დავინახეთ, ეროვნული მასშტაბით აუცილებელია ინტენსიური მუშაობის გაგრძელება პოლიტიკის განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებით. ამასთან, დაინტერესებული მხარეები თანხმდებიან, რომ განვიცდით სისტემური მიდგომისა და კოორდინაციის ნაკლებობას კარიერის განვითარების მხარდაჭერის სისტემების მთელი სიცოცხლის მანძილზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით. სხვადასხვა საჯარო და კერძო სექტორების როლები და ვალდებულებები, საჭიროებებზე დაფუძნებული, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სერვისების უზრუნველსაყოფად არ არის ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული. იმედია, რომ მომდევნო წლებში დასაქმების საბაზისო პროგრამა გარდაიქმნება სისტემურ, სტრუქტურულ, ყველა ასაკისათვის ხელმისაწვდომ და მათ საჭიროებებზე მორგებულ სერვისებად.

ქვემოთ მოცემულ ლინკზე შეგიძლიათ იხილოთ ევროპის განათლების ფონდის ანგარიში კარიერის განვითარების მხარდაჭერის სისტემებზე:

https://openspace.etf.europa.eu/blog-posts/career-development-support-system-georgia-reforms-results?fbclid=IwAR0p5NOdkiPbhjCfHqChbArtkOtlAR0H1JEpqKeBGR6ImylgmGbcsoNOaLc

1 ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით ადგილნაცვალ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქოლგის ქვეშ არსებული სააგენტო.

2 ამჟამად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით ადგილნაცვალ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3 კლასის დამრიგებლის საათი წარმოადგენს სპეციალურ პროგრამას, რომელიც დაწყებით საფეხურებზე კვირაში ორი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე კვირაში ერთი საათის განმავლობაში ხორციელდება.

4 განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2016, ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 წწ..

5 2019 Implementation Report of the Unified Strategy of Education and Science (USES), 2020, MoES.

6 ახალგაზრდობის პოლიტიკის კონცეფცია 2020-2030 წლებისათვის, 2020, საქართველოს პარლამენტი.

7 თანახმად ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და გაეროს შესაბამისი დოკუმენტებისა, ახალგაზრდების სამუშაო განისაზღვრება, როგორც ახალგაზრდობის განვითარებისა და კეთილდღეობისაკენ მიმართული, საჯარო დონეზე განხორციელებული სოციალური და საგანმანათლებლო პრაქტიკები. მათი აქტიური მონაწილეობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია მოიცავს არაფორმალური განათლების გზით ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი არსებითი უნარების განვითარებას (ჰობის ცენტრები, მასობრივი სპორტი, კულტურულ-შემოქმედებითი კლუბები და საზაფხულო სკოლები). ახალგაზრდობის პოლიტიკის კონცეფცია, 2020, საქართველოს პარლამენტი. ახალგაზრდობის სახელმწიფო კონცეფცია 2025 (სამუშაო ვერსია), ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დარგობრივი უნარების ორგანიზაციები – შანსი კერძო სექტორისთვის, შანსი სახელმწიფოსთვის

დავით რაქვიაშვილი
კვალიფიკაციების დე პარტნიორობის მუნდის ლიდერი

რას ნიშნავს დარგობრივი უნარების ორგანიზაცია და რა მნიშვნელობა აქვს მას პროფესიული განათლებისთვის?

დავიწყოთ იმით, თუ რამ განაპირობა დარგობრივი უნარების ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობა. მთავარი მიზეზი არის პროფესიული განათლების რეფორმის ის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს კერძო სექტორის როლის გაზრდას პროფესიული განათლების სისტემაში. თუ ადრე მთელი ციკლი სასწავლო პროცესისა იყო მხოლოდ პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციისა და განათლების ხელში, რეფორმის ხედვის შესაბამისად, ახლა კერძო სექტორი გაინაწილებს პასუხისმგებლობას და გახდება პროცესების თანაავტორი – განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტებს, კომპეტენციებს, ჩართული იქნება სასწავლო პროცესში. ასევე გახდება თანამონაწილე შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებზე. სწორად ამ ფუნქციების შესასრულებლად სექტორის წამყვანი ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების მიერ იქმნება წარმომადგენლობითი უფლებების მქონე დარგობრივი უნარების ორგანიზაციები. სექტორის ყველა მოთამაშე, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ მისი ხმა უნდა ისმინებოდეს დარგობრივი უნარების განსაზღვრაში და მომავალი კადრების მომზადებაში, უნდა იყოს ამ დუოს შემადგენლობაში.

დავით რაქვიაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

დარგობრივი უნარების ორგანიზაციის ძირითადი მოვალეობები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს. დუო არის:

- კერძო სექტორის ხმა;
- განსაზღვრავს, რომელი უნარები ესაჭიროება დარგს;
- მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესს;

- ამოწმებს განათლების ხარისხს.

ასევე, დარგობრივი უნარების ორგანიზაციები არიან ახლად დაარსებული უნარების სააგენტოს საკვანძო პარტნიორები რეფორმის განხორციელებაში.

ბატონო დავით, თუ ბიზნესს, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული, შევთავაზებთ პროცესებში მონაწილეობას მოგების გარეშე, რა მოტივაცია შეიძლება ჰქონდეს მას, რომ ამისთვის დაიხარჯოს?

როგორც ყველა რეფორმა და სიახლე, ეს პროცესებიც გაივლის გარკვეული წინააღმდეგობების გზას, რაც ბუნებრივია და ჩვენ მიერ სრულად არის გაცნობიერებული. ორგანიზაციების, ასოციაციების ერთად მუშაობა და სტანდარტებზე მუშაობა არ იქნება ადვილი საქმე. მიმღებლობა სიახლისადმი დამოკიდებულია არა ჩვენზე, არამედ მათზე, ვინც უნდა მიიღოს ეს. თუმცა ჩვენ გვაქვს დაგეგმილი ბევრი და თანმიმდევრული ღონისძიება რეფორმის ეფექტიანად დანერგვისათვის. ეს სხვა ქვეყნებშიც ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი იყო. ამავდროულად, დუოს შექმნას და მის საქმიანობას ხელშესახები სარგებელი მოაქვს კერძო სექტორისათვის. პრაქტიკულად ყველა სექტორი მუდმივად აღნიშნავს, რომ განათლების სისტემა ვერ აწვდის მოთხოვნის შესაბამის კადრებს. დუოს სახით, სახელმწიფო კერძო სექტორს სთავაზობს ინსტრუმენტს, რომ თავად გახდეს კვალიფიციური კადრების მომზადების თანამონაწილე და აიღოს კონტროლის მექანიზმები, რითაც უზრუნველყოფს მომავალი კადრების მომზადებას ინდუსტრიის მოთხოვნების შესაბამისად. ეს არის ერთგვარი ძალაუფლების გაზიარება, რომელიც კერძო სექტორისთვის საკმაოდ მომხიბვლელი უნდა იყოს. კერძო სექტორი ხდება სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის თანამონაწილე. ბიზნესს დუოში ჩართულობით საშუალება ეძლევა, დაზოგოს რესურსები კადრების მომზადების კუთხით. თუკი განათლება მისცემს დაკვეთის შესაბამის კადრებს, მას დამატებით აღარ მოუწევს განვითარების ღონისძიებების განხორციელება საკუთარი პერსონალისათვის.

მაია არავიაშვილი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ამ ეტაპზე გვაქვს ინტენსიური კონსულტაციები წამყვან სექტორულ ასოციაციებთან. აგროდუოს პრაქტიკის კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა ასოციაციების თვითშეფასების კრიტერიუმები, რომელთაც ასევე გამოვიყენებთ ამ პროცესებში. პოტენციურ დუოებთან კომუნიკაციაში გვეხმარებიან დონორი ორგანიზაციები. ბიზნესთან კომუნიკაციაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სავაჭრო სამრეწველო პალატას, რომელიც არის უნარების სააგენტოს ერთ-ერთი თანადამფუძნებელი.

დუოების მიერ დარგობრივი რუკის შექმნა არის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროცესი – ერთ რუკაზე თავმოყრილი მთელი დარგის საჭიროებები, შეთავაზებული პროგრამები, უნარების დეფიციტი და ა.შ. ამ რუკას შესაძლებელია, ასევე ვუწოდოთ დარგის „სურვილების რუკა“ – როგორი კვალიფიკაციისა და კომპეტენციების ადამიანები სჭირდება კონკრეტულ დარგს.

დადგენილი წესის მიხედვით, დუოს სტატუსს მიანიჭებს პროფესიული უნარების სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო. სტატუსის მოპოვებამდე იქმნება დუოს საინიციატივო ჯგუფები და დუოს სტატუსის მოსაპოვებელი საგზაო რუკები თითოეულ სექტორში. პირველი შედეგი უკვე გვაქვს – 22 აპრილს სააგენტომ და სექტორის წამყვანმა ასოციაციებმა გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი, შეიქმნა „ტურიზმის დუოს საინიციატივო ჯგუფი“. დაწყებულია მუშაობა რამდენიმე სექტორთან დარგების რუკის შექმნაზე.

ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი „ლეპოტა“, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის შესაძლებლობით

ია მიგიბერია

ცენტრ „ლეპოტას“ შესახებ ჟურნალ „პროფესიულ განათლებასთან“ ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრის თანადამფუძნებელი, პროფესიული განათლების ექსპერტი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესიული საგანმანათლებლო მომზადების პროგრამის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ია გიგიბერია საუბრობს.

ესთეტიკურ კოსმეტოლოგიაზე მოთხოვნა ძალიან დიდია. დამკვეთის მოთხოვნას ბაზარმა მყისიერად უპასუხა და უამრავი ცენტრი შეიქმნა, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. ამ დარგში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციას პროფესიულმა განათლებამაც ასევე მყისიერად გასცა პასუხი. ჟურნალის სტუმარია კოსმეტოლოგიური ცენტრი, რომელიც სახელმწიფოს მიერ ავტორიზებულ მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამას ახორციელებს.

შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი „ლეპოტა“ 2020 წელს დაარსდა. ის ესთეტიკური და ინექციური კოსმეტოლოგიის მიმართულებით მუშაობს. 2021 წელს ცენტრმა მოიპოვა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება. აღნიშნული პროგრამის მიზანი შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიის სწავლებაა, რომელიც მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით.

ქალბატონო ია, მოგვიყევით, როგორ გაჩნდა თქვენი ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა და რა კავშირი აქვს მას პროფესიულ განათლებასთან?

ნათქვამია, რომ ყველაფერი სურვილით უნდა დაიწყოს, მერე სწორი პარტნიორია საპოვნელი და შედეგიც თავდაუზოგავი შრომის შედეგად აუცილებლად დადგებაო.

სურვილი კი მომავალ პარტნიორებს – მე და ლელა ყურაშვილს მას შემდეგ გაგვიჩნდა, რაც გადავწყვიტეთ, საკუთარი ცოდნა გაგვეერთიანებინა და დაგვეფუძნებინა ისეთი კომპანია, რომელიც ესთეტიკური მედიცინის სფეროში განვითარების მსურველს დაეხმარებოდა შრომის ბაზარზე არსებული ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროფესიის დაუფლებაში. ესთეტიკური მედიცინა ადამიანის სილამაზეს და ჯანმრთელობას ემსახურება და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ სფეროში კვალიფიციური კადრები მუშაობდნენ.

ჩვენი გამოცდილება კი ასეთია: 2014 წლიდან, როგორც რეფორმის მხარდაჭერის ექსპერტი, ვმონაწილეობდი მოდულური პროგრამების იმპლემენტაციის პროცესში და აქტიურად ვეხმარებოდი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დასაქმებაზე ორიენტირე-

ბული პროგრამების დანერგვაში. ბიზნესკომპანიებს, შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, ვუწევდი კონსულტაციას როგორც გრძელვადიანი პროფესიული პროგრამების დანერგვაში, ასევე მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შექმნაში.

ქალბატონი ლელა ყურაშვილი გახლავთ ექიმი-დერმატოლოგი, კოსმეტოლოგიისა და ესთეტიკური მედიცინის მიმართულებით 28-წლიანი გამოცდილებით, არაერთი საერთაშორისო კონგრესის მონაწილე, სხვადასხვა სემინარებზე და ვორკშოფებზე მოწვეული ტრენერი, არაერთი საავტორო პროგრამის შემქმნელი.

ეს წინაპირობები საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გაგვეერთიანებინა ძალები, რათა ერთი მხრივ, მომხმარებლებისთვის შეგვეთავაზებინა მაღალი ხარისხის მომსახურება და ასევე შეგვექმნა სივრცე, სადაც პროფესიული მომზადება-გადამზადების მსურველებს საშუალებას მივცემდით, სახელმწიფოს მიერ აღიარებული და ავტორიზებული კურსის გავლით მიეღოთ განათლება.

რა პროგრამას ახორციელებთ ამ ეტაპზე და როგორია მოთხოვნა?

2021 წელს შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრმა „ლეპოტა“ მოიპოვა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ განხორციელების უფლება. სასწავლო პროცესი სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით მიმდინარეობს და მას დარგის კვალიფიციური სპეციალისტები უძღვებიან (წამყვანი კლინიკების პროფესიონალი კოსმეტოლოგები და ექიმი-დერმატოლოგები).

პროგრამის ხანგრძლივობა 9 კვირაა. ის ჯამში 140 საათისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ პროფესიული მომზადების ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული იღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ, პროფესიული განათლების

დამადასტურებელ ორენოვან სერტიფიკატს. ეს მას საშუალებას აძლევს, თავისუფალი ბაზრის პირობებში სწრაფად დასაქმდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

პროგრამაზე მოთხოვნა მზარდია. პანდემიის მიუხედავად, პირველივე მიღებაზე აპლიკანტთა რაოდენობა იმდენად მაღალი იყო, რომ კონკურსის ჩატარებაც კი გახდა საჭირო. პირველი ოცი კურსდამთავრებულიდან 13 დასაქმდა, მათ შორის ოთხმა საკუთარი კაბინეტიც კი გახსნა. ეს დიდი მოტივაცია იყო ჩვენთვის, რადგან საქმეში დავინახეთ კურსდამთავრებულთა სურვილი, მოტივაცია, შესაძლებლობები, რომლებიც მათ წინაშე გადაიშალა. იმავე წელს ეს სტიმული დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ „ლეპოტას“ „განსაკუთრებული თანამშრომლობისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის საუკეთესო პარტნიორის ტიტულით“ დაჯილდოვებამ გაგვიორმაგა.

ვის შეუძლია თქვენთან ისწავლოს და ჩაბარებისთვის რა წინაპირობებია საჭირო?

თუ ადამიანს აქვს სურვილი, საბაზო განათლება და მაღალი ინტერესი, რეალურ სამუშაო გარემოში დაეუფლოს აღნიშნულ პროფესიას, ის ჩვენი პოტენციური კურსდამთავრებულია, რომელსაც დასაქმებაში და თვითდასაქმებაშიც დავეხმარებით.

მოგვიყევით ისტორია უკრაინელი კოსმეტოლოგისა, რომელიც თქვენთან მუშაობს. როდის დაიწყო თანამშრომლობა და როგორ მოხვდა ის თქვენს ცენტრში?

ლელა ყურაშვილი

ქალბატონი ნატალია ფრანცევიჩი გახლავთ მაღალი კლასის დერმატო-კოსმეტოლოგი, ინექციონისტი უკრაინიდან, კერძოდ, ოდესიდან. მას 21-წლიანი გამოცდილება აქვს. ნატალია ჯერ კიდევ 2021 წელს დაგვიკავშირდა, დაინტერესდა ჩვენი ცენტრით და გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი. მას შემდეგ, რაც უკრაინაში ომი დაიწყო და ჩვენი მეგობარი ქვეყნიდან მოქალაქეების ნაწილს წასვლა მოუწია, ნატალიას კიდევ ერთხელ შევეხმიანე.

ნატალია ფრანცევიჩი

ამჟამად ის ცენტრ „ლეპოტაში“ პროფესიულ მასწავლებლად მუშაობს და თანამშრომლობა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, ორივე მხარე ვფიქრობთ, რომ ომის დასრულების შემდეგაც, როდესაც ქალბატონი ნატალია შინ დაბრუნდება, თანამშრომლობას გავაგრძელებთ.

ქალბატონო ია, თქვენი ორგანიზაციის სამომავლო გეგმების შესახებაც გვითხარით.

მოთხოვნიდან და ჩვენი შესაძლებლობიდან, კვალიფიკაციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სამართლიანი იქნება, განვვითარდეთ და კურსის ხელმისაწვდომობა გავზარდოთ რეგიონებისთვისაც, სადაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება.

ვგეგმავთ ბათუმში, ქუთაისში, რუსთავსა და თელავში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და მათთვის დასაქმების ხელშეწყობას. ვფიქრობ, მიმდინარე წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება ამ მიმართულებით. დაინტერესებულ მომხმარებელს კი ვურჩევ, მიმართონ ისეთ ესთეტიკურ ცენტრებს, სადაც მათ ნამდვილად დახვდებათ მაღალკვალიფიციური კადრები. ჩვენ ჩვენს ძალისხმევას ვდებთ იმაში, რომ ეს სფერო განვითარდეს საქართველოში.

მათემატიკოსი მეფუტკრე ბაბუისგან მემკვიდრეობით მილებული ფუტკრებით და სამი ათასზე მეტი სტუდენტით

ნასტასია ერაბული

გია რომანაძე მათემატიკის დოქტორი და ეკონომისტია. ფუტკართან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს: ბაბუას ჰყავდა ფუტკრები სოფელ წყავროკაში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, რომლებიც მემკვიდრეობით გადაეცა. მეფუტკრეობის სწავლება 2005 წელს დაიწყო, როცა ქობულეთის კოლეჯში მასწავლებლად მიიწვიეს. რაც უფრო მეტს აკვირდებოდა ფუტკარსაც და მეფუტკრეებსაც, ხვდებოდა, რომ თანამედროვე, მეცნიერული ცოდნა ყველაზე მეტად არის საჭირო იმისთვის, რომ მეფუტკრეობა შემოსავლიანი საქმე იყოს ფერმერისთვის, ქართული თაფლი და ფუტკრის სხვა პროდუქტები კი საზღვრებს გარეთ გავიდეს.

რამდენად პოპულარული მიმართულებაა მეფუტკრეობა პროფესიული განათლების მიღების მსურველებისთვის?

2006 წლიდან 3 000 სტუდენტი მაინც მყავს, თუ მეტი არა. წარმოიდგინეთ, რომ არც ერთ ჩემს სტუდენტს ფუტკრების ოჯახი არ ეღუპება. ძველი მეთოდებით ვინც მუშაობს, ვეღარ ავითარებს იმ ძველი მიდგომებით ფუტკარს. კლიმატია შეცვლილი და ამ ახალ კლიმატს უნდა აუწყო ფეხი.

როცა ამ მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა, თავიდან გვქონდა პროფესიული გადამზადების კურსები და ხალხს ვეხვეწებოდით, მოსულიყვნენ და ესწავლათ. როცა კაცს ეხვეწები, მოდი და ისწავლე, იქ სწავლის საქმე, ცხადია, კარგად ვერ არის. როცა პირველი მოდულური სწავლება შემოვიღეთ, 2017 წელს, ინტერესი გაიზარდა. კონკურსით სტუდენტების მიღება ზრდის ცოდნის დონესაც და მეფუტკრეობის განვითარებასაც. ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ეს დარგი კარგად ვითარდება.

როცა ვიღაც ხედავს, რომ ნასწავლი ფერმერი უკეთ უვლის თავის მეურნეობას და ფუტკარს, სხვასაც უნდება, ისწავლოს. 2 წლის წინ მე მყავდა 76 წლის მეფუტკრე სტუდენტი — სოსო ბერიძე. მანამდე მისი მეზობელი სწავლობდა ჩვენთან — ჩელებაძე გიორგი, ნულიდან დაიწყო მეფუტკრეობა და ორი წლის განმავლობაში ისეთი მეფუტკრე გახდა, არც შემოსავალი აკლია, სერტიფიკატიც აიღო, ბრენდიც გააკეთა და მუშაობს გადასარევად. იმ 76 წლის კაცმა, რომელიც თითქმის 40 წელი იყო მეფუტკრე და ფული არასოდეს ჰქონდა, რომ დაინახა, ეს ახალგაზრდა კაცი სწავლით რამდენს აღწევდა, მოვიდა. კი ერიდებოდა თავიდან მოსვლა სტუდენტად, მაგრამ ისე კარგად ისწავლა ყველაფერი და ამ დრომდე ისეთი მადლობელია, სადაც მხვდება, სულ მადლობას მიხდის.

სტუდენტები რომ მოდიან, პირველი იმას ვეკითხები, რისთვის უნდათ მეფუტკრეობის სწავლა. ვინც მეუბნება, რომ სახლისთვის უნდა ჰქონდეს თაფლი, ვეუბნები, რომ ამისთვის არ ღირს დროის დაკარგვა და სწავლა, შეუძლია 10 კილო თაფლი იყიდოს და მთელი წელი ეყოფა ოჯახს. მოდიან ერთი ოჯახი, ორი ოჯახი ფუტკრით და მერე არ იციან, ეს თაფლი სად გაყიდონ, გასაღების პრობლემის წინაშე დგებიან. მე ვფიქრობ, რომ კოლეჯში და პროფესიაში ისინი უნდა მოვიდნენ, ვისაც უნდა, ამ საქმიდან ჯიბეში

ფული ჰქონდეს და მეფუტკრეობა ბიზნესად აქციოს.

ახლა ჩემთან სწავლობს ჯარას მეფუტკრეობის თავმჯდომარე. ზოგჯერ მიკვირს, ისეთი ხალხი მოდის – გამოცდილი, ჭკვიანი, მონდომებული. ყველა სტუდენტს ვეუბნები, რომ ნებისმიერი კითხვა დასვან, რაც გაუჩნდებათ. ეს ჩვენც გვეხმარება უკეთესი პროგრამისა და თქვენ წარმოიდგინეთ, ახალი აღმოჩენების გაკეთებაშიც.

რა არის ყველაზე გავრცელებული შეცდომები, რასაც უშვებენ მეფუტკრეები, სპეციალური პროფესიული განათლების გარეშე?

ბევრია ეგეთი. მაგალითად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თაფლის ამოღებას. კინტრიშის ხეობაში მყავდა გერმანელი სტუმრები და წავიყვანე მთაში, ეკლესიაა იქ, სადაც ფუტკარიც ჰყავთ. ერთ-ერთ სტუმარს მოუნდა თაფლი, მის თვალწინ გახსნეს სკა, ამოიღეს თაფლი და მიყიდეს. ეს კაცი მოიწამლა. რატომ? იმიტომ, რომ ის თაფლი არ იყო დამწიფებული. არ შეიძლება თაფლი მაშინ ამოიღო, როცა კლიენტი მოგადგება კარს. ეს აბსოლუტურად დაუშვებელია. სტუდენტებს ჩვენ ამ ყველაფერს ვასწავლით: როდის, როგორ, რა კონდიციაში უნდა იყოს თაფლი, რომ ამოიღონ.

ბევრი შაქარს აძლევს ფუტკარს ვითომ გასაძლიერებლად და სინამდვილეში ღუპავს. ფუტკარს არ შეუძლია ამდენი შაქრის გადამუშავება ან თაფლად ქცევა, ეხოცებათ და ჰგონიათ, რომ რაიმე დაავადება შეეყარათ და იმან დაუხოცა. ჩვენ სიროფის გაკეთების ახალ წესს ვასწავლით, რომ ფუტკარი გადარჩეს. ეს უკვე მეცნიერებაა.

არაფრით არ შეიძლება ისეთი ანტიბიოტიკების მიცემა ფუტკრებისთ-

ვის, რასაც ფერმერების დიდი ნაწილი ხმარობს. შეიძლება უსაფრთხო წამალს ხმარობდნენ, მაგრამ მისი მიღებისას გაკეთებულ თაფლს მერე ყიდდნენ ან თვითონ მოიხმარდნენ – ესეც გაწერილი გვაქვს ჩვენ და ვასწავლით, რა პრეპარატით მკურნალობისას როგორ უნდა მოიქცე, როგორ არ უნდა მოხვდეს ფუტკრისთვის მიცემული ანტიბიოტიკები თაფლში, რა დაავადებას როგორ უნდა უმკურნალო.

ფერმერმა უნდა იცოდეს, რა არის ევროპაში აკრძალული მედიკამენტები, რომლებიც ფუტკარს არ უნდა მისცეს და რითი ჩაანაცვლოს ისინი, მაგრამ სიმართლე თუ გინდა, ამ პრეპარატების შოვნაც ძალიან ძნელია ჩვენთან.

თუ გინდა, რომ კლიენტი არ დაკარგო და შენი თაფლი და ფუტკრის სხვა პროდუქტები გაყიდო, უნდა ეცადო, ყველა რეგულაცია დაიცვა.

კლიენტი თუ დაინახავს, რომ ჭუჭყიანი ხალათი გაცვია, ან საბოლოოდ ბელი გაქვს დახეული, დაგლეჯილი, მეორედ ხომ არ მოვა? სამწუხაროდ, ჩვენი მეფუტკრეები ამაზე არ ფიქრობენ. მაგრამ უბედურება ისიცაა, რომ სუფთა თაფლი რომ აწარმოოს ყველამ, საქართველოსაც კი არ ეყოფა, არათუ ექსპორტზე ვერ გავა.

თქვენ ცოდნის ნაწილი ბაბუისგან მიიღეთ, რომელიც თქვენსავით მეფუტკრე იყო. გარდა ხალხში არსებული, შედარებით მოძველებული ცოდნისა, თუ გვაქვს ღირებული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე, სახელმძღვანელოები? კვლევები თუ ტარდება?

მადლობა ღმერთს, რომ დღეს ინტერნეტი არსებობს და ყველა სიახლე, ყველა აღმოჩენა შეგიძლია ნახო.

დღეს დამწყები მეფუტკრე უფრო მეტია, ვიდრე ნასწავლი მეფუტკრე. დამწყებმა მეფუტკრემ მხოლოდ ერთადერთი პროდუქტი იცის – თაფლი და მუშაობს ამაზე. მე სახლში მხოლოდ 4 ოჯახი ფუტკარი მყავს, რაც ძალიან ცოტაა. წელს უკვე გაკეთებული მაქვს 18 000 ლარი, იმიტომ, რომ სხვა პროდუქტებსაც ვაწარმოებ: დედა ამომყავს, რძეს ვიღებ, ჭეო მაქვს. ყველამ უნდა იმუშაოს ბაზრის მოკვლევის შედეგად და ამის მიხედვით გადააწყოს თავისი წარმოება. ფუტკარს 8 სხვადასხვა პროდუქტის გაკეთება შეუძლია და როცა მხოლოდ თაფლზე მუშაობ, ფულიც ვერ გექნება.

რაზეც თქვენ საუბრობთ, მხოლოდ მეფუტკრეობის პრობლემა არ არის. უფრო დიდი პრობლემაა, ბიზნესის კეთების უნარების სიმწირე.

კი, მარკეტინგიც მნიშვნელოვანია და ჩვენ ამასაც ვასწავლით ჩვენს სტუდენტებს. მათ იციან, როგორ უნდა იმუშაონ, როგორ უნდა მოიზიდონ და შეინარჩუნონ კლიენტები. ძალიან მალე დადგება დრო, როცა მათ, ვისაც სერტიფიკატი და შესაბამისი განათლება არ აქვთ,

არ შეეძლებათ ბაზარზე თაფლის გამოტანა გასაყიდად.

სახელმწიფო ყველაფერს ცდილობს, მაგრამ ამდენი პრობლემის ერთად მოგვარება რთულია – ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ. ჩვენ გვინდა ქართული თაფლის გატანა ევროკავშირის ბაზარზე, შესაბამისი მომზადებაც გვჭირდება. რაღაცები კეთდება, რაღაცები ჯერ კიდევ პრობლემად რჩება. მაგალითად, ფიტოსანიტარულ ცნობას ვერ იძლევა სახელმწიფო, იმიტომ, რომ არ გვაქვს ლაბორატორია. ძვირი ჯდება მაგის გაკეთება. ქართველ ფერმერს რომ დასჭირდეს ეს ცნობა, თურქეთში ან ბალტიის რომელიმე ქვეყანაში უნდა გააგზავნოს ნიმუშები.

ქართული თაფლი უკვე გადის აზიის ბაზრებზე ცოტ-ცოტა და ესეც საქმეა. აქ ჩამოსული ვიზიტორები ადრე თუ წასაღებად მხოლოდ ღვინოს ითხოვნდნენ, ახლა თაფლსაც კითხულობენ. საქართველოშიც კი ბაზარი არ არის კარგი, ხარისხიანი თაფლისთვის მზად. არიან ფერმერები, რომლებიც მართლა კარგ თაფლს აკეთებენ, სუფთას და მაინც უჭირთ რეალიზაცია. ისეთი მყიდველი, ვინც ხარისხიან თაფლს უხარისხოსგან ასხვავებს და მზადაა, ხარისხიანში უფრო მეტი გადაიხადოს, მაინც ცოტაა. ასეთი მყიდველების სიმრავლე საჭირო და მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ხარისხიანი თაფლის წარმოება მასიური გახდეს. თან ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ. ერთი კილო თაფლის ფასად 10 კილო შაქარს მიიტანს გაჭირვებული ადამიანი სახლში და ეგ იქნება მისი სიტკბო.

თქვენ იცნობთ ევროპელ მეფუტკრეებსაც. არაერთხელ ყოფილხართ გერმანიაში. რა განასხვავებს ქართველ მეფუტკრეს და ქართულ თაფლს მათგან?

მხოლოდ და მხოლოდ ტექნოლოგიები. მარტივად რომ აგიხსნათ, მაგალითად, [ფუტკრის] დედის ამოყვანა მინდა, 16 დღე მჭირდება ამისთვის, რომ ფუტკარმა თავიდან ბოლომდე ეს პროცესი დაამთავროს. გერმანიაში იცით, რა ხდება – მეათე დღეს, როცა სადედულები გადაიბეჭდება, იღებენ მას და აპარატში დებენ – 7 დღეს იგებენ. ანუ იმ დროში, რაც მე სამჯერ დედის გამოყვანისთვის მჭირდება, გერმანელი ფერმერი ოთხჯერ გამოიყვანს. ეს არის მექანიზაცია და ტექნოლოგიები, რომლებიც უმაღლეს დონეზეა განვითარებული, იქნება ეს ხელოვნური განაყოფიერების აპარატები თუ სხვა რამეები. მე რომ მითხრა, ამაზე იმუშავებ თუ არა, დღეს ვიტყოდი, რომ ვერა, ამისთვის სხვანაირი ცოდნაა საჭირო. ახლა მგონია, რომ ვერც ვერასოდეს ვისწავლი ასე მუშაობას.

წარმატებული ვერ გახდები, თუ მუდმივად არ ცდილობ განვითარებას

თეონა კუპატაძე

ჟურნალ „პროფესიულ განათლებას“, პალიტრა ჰოლდინგის ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის უფროსი, პალიტრას პრაქტიკული აკადემიის დირექტორი თეონა კუპატაძე ესაუბრა.

ჩვენ ვიწყებთ ახალ რუბრიკას, „დამსაქმებელი ეძებს გუნდის წევრს“. პალიტრა ერთ-ერთი დიდი ორგანიზაციაა საქართველოში სამიათასამდე თანამშრომლით. გთხოვთ, მოგვიყვეთ ზოგადად თქვენი ორგანიზაციის შესახებ.

პალიტრა ჰოლდინგი მოიცავს 50-მდე კომპანიას და 7 მიმართულებას, მათ შორისაა: მედია, გამომცემლობა, საცალო გაყიდვები, წარმოება, ელექტრონული კომერცია, სარეკლამო სააგენტო, ლოჯისტიკა და დისტრიბუცია.

ჰოლდინგის ისტორია 27 წლის წინ გაზეთი „კვირის პალიტრით“ დაიწყო. კომპანია წლების მანძილზე იზრდებოდა და ვითარდებოდა, ახლა კი წარმოადგენს დიდ ორგანიზაციას, რომელიც მუდმივად ვითარდება. პალიტრა ჰოლდინგში ორგანიზაციების და ორგანიზაციული კულტურის სრული პალიტრა გვაქვს, რაც განსაკუთრებით საინტერესოს და გამოწვევებით სავსეს ხდის მუშაობას.

თქვენ მუდმივად ავსებთ ახალი სამუშაო ძალით ორგანიზაციას და სთავაზობთ სამუშაოს დაინტერესებულ პირებს, რა პროფესიის ადამიანები გესაჭიროებათ ყველაზე მეტად.

სრულიად გეთანხმებით, ჩვენ მუდმივად გუნდის ახალი წევრის ძიების პროცესში ვართ. როგორც აღვნიშნე, ბევრი გამოწვევა გვაქვს, ვინაიდან ბიზნესის ტიპის მიხედვით დეფიციტური პოზიციები განსხვავდება. ამ ეტაპზე დიდი გამოწვევაა მოვიძიო არა მხოლოდ ტექნოლოგიების მცოდნე პირი, არამედ ტექნიკური პერსონალიც კი.

გამოცდილებაზე დაფუძნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს განსაკუთრებით რთული გახდა შესაბამისი კანდიდატის მოძიება.

პალიტრას ღირებულებებიდან ერთ-ერთი მთავარი ღირებულება განვითარებაა, შესაბამისად, ჩვენ მუდამ მზად ვართ დამწყები/ახალბედა კანდიდატი ავიყვანოთ და მის განვითარებაზე ვიზრუნოთ. ორგანიზაციაში შიდა გუნდის წევრის დაწინაურების, კარიერულ კიბეზე განვითარების დიდი გამოცდილება არსებობს. შესაბამისად, პალიტრაში მოტივირებული და გონიერი ადამიანი შეძლებს დამწყები პოზიციიდან მენეჯერულ პოზიციამდე განვითარებას და კომპანიის ხელმძღვანელობასაც კი.

მოგვიყევით პალიტრას პრაქტიკული აკადემიის შესახებ. რა გეგმები გაქვთ ამ მიმართულებით?

პალიტრას პრაქტიკული აკადემია ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობს. ერთი მიმართულება სწორედ მოკლევადიანი პროგრამების დახმარებით დამწყები კანდიდატის პროფესიული განვითარება და პროფესიული ორიენტაციაა.

მოკლევადიანი პროგრამების მთავარი იდეა გამოცდილებაზე და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებაა. ჩვენს პროგრამაში ასწავლიან მიმართულების ექსპერტები, მენტორი. მენტორის დახმარებით პროგრამის მონაწილეს შეუძლია გაიზიაროს know how და მიიღოს რჩევა პრაქტიკოსისგან. პროგრამა ასევე მოიცავს პროფესიული ორიენტაციის ელემენტებს. მაგალითად, ჩვენი მულტიმედია ჟურნალისტიკის პროგრამის მონაწილეს შეუძლია მედიის სხვადასხვა სფეროში მოსინჯოს ძალები და იპოვოს საკუთარი ადგილი.

ამ ეტაპზე გვაქვს რამდენიმე პროგრამა. მათ შორისაა, მულტიმედია ჟურნალისტიკა, სექტემბრიდან კი ვგეგმავთ საწარმოების მიმართულების, გაყიდვების და ადამიანური კაპიტალის მართვის პროგრამების დამატებას.

აკადემია ასევე აქტიურად ატარებს ტრენინგებს პროფესიონალებისთვის, შუა და მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის.

ჩვენი უახლოესი გეგმები უკავშირდება სასერტიფიკატო მოკლევადიანი პროგრამის განხორციელებას, ამ მიზნით, ჩვენ დავიწყეთ თანამშრომლობა უნარების სააგენტოსთან. სასერტიფიკატო მოკლევადიანი კურსის გავლის შემდგომ მსურველებს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ ჩვენს ორგანიზაციაში, მიიღონ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, რომელიც მათთვის იქნება განათლების დამადასტურებელი ერთგვარი დოკუმენტი.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ პალიტრას აკადემიაში და მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია:

მეილი: info@practicalacedemy.ge
ტელეფონი: 595 99 29 27

რას ეტყოდით დასაქმების მსურველებს?

მთავარი მესიჯი მუდმივი განვითარებაა – კომფორტის ზონის დატოვება, ახლის მოსინჯვის გამბედაობა და მოტივაცია. წარმატებული ვერ გახდები, თუ მუდმივად არ ცდილობ განვითარებას და არ მუშაობ საკუთარ თავზე.

მარინე ხეცოიძე

მხატვრული ქსოვილების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული; ამ ეტაპზე სწავლობს კერამიკული ნაწარმის სპეციალობაზე კოლეჯ „აისის“ ალვანის ფილიალში

მარინე 38 წლისაა, სოციალურად დაუცველი ოჯახიდან. ჰყავს 4 შვილი. ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა სრული ზოგადი განათლების მიღება და 9 კლასის დასრულების შემდეგ სკოლიდან გამოვიდა. მალევე შექმნა ოჯახი და როცა ბავშვები წამოიზარდნენ, გადაწყვიტა პროფესიის შესწავლა შემდგომი დასაქმების მიზნით. რადგან ქარგვა ეხერხებოდა, კოლეჯ „აისის“ ალვანის ფილიალში მხატვრული ქსოვილების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა. ისწავლა თექაზე მუშაობაც. ქსოვს ხალიჩებს და ფარდაგებს. საკუთარ ნამუშევრებს თუშეთში დღესასწაულის პერიოდში ყიდის. ხელოვნებამ იმდენად გაიტაცა, რომ ამჟამად კერამიკული ნაწარმის დამზადების სპეციალობას ეუფლება. ფიქრობს, რომ კერამიკის და თექის შერწყმით გაცილებით უკეთეს ნამუშევრებს შექმნის.

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

UNDP